

1896

№ II



ქართული  
საქმიანობა



1896 თებერვალი



ქუთრნალის „ჯეჯილისა“

I მელიას ხრიკი, ლექსი — ი. ეწერლისა . . . . .	3
II მაროს თავ გადასავალი — გ. ბ — მესი . . . . .	6
III დედა და შვილი, ლექსი — დუტუ მეგრელისა . . . . .	23
IV ყვეიღები, მოთხრობა — ასონ ნიკოლაიშვილისა . . . . .	26
V თოლია (ფრანგულიდან) — ან. წ — ისა . . . . .	35
VI როგორ ქრის ქარი? (რუმაინიდან) — თ. მთავრიშვილისა . . . . .	41
VII გაბრიელ ეპისკოპოსი, ნეკროლოგი — გ. წყაღტუბელისა . . . . .	44
VIII საკვირველებანი ბუნებისა — გლ. ადნაიშვილისა . . . . .	48
IX ღორი და კრუხი — ალ. მ — შვილისა . . . . .	50
X თავებზს ჭკუა — ბესარიონისა . . . . .	51
XI ორი და (ფრანგულიდან) . . . . .	52
XII წერილმანი . . . . .	53

ქუთრნალი „ჯეჯილი“ 1896 წელს გამოვა ყოველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს — ექვსის მაგივრათ და ქუთრნალი მხოლოდ ერთი მანეთით შეტი ეღირეა. (თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მ.) რედაქციაში მუღმივი თანამშრომლობა იკისრეს: რაქ. ჯაჯახანაშვილმა, ალ. მირინანაშვილმა და ალ. ვარსევანაშვილმა.

3-40



# ქ ე ჯ ი ლ ი

ს ა უ მ ა წ ვ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი

ე უ რ ნ ა ლ ი

345 /  
1896/2

იზარღე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანოს...

ი. დ.

1325.  
3205

№ II

წ ა ლ ი შ ა დ ი მ ე უ ზ ე ი მ ე

ნომერი	903
წელი	1091
კატეგორია	
ფურცლები	
საბუთო	9979

ბ უ ი ლ ი ს ი

სტამბა მ. დ. როგინიანცისა || ტიპ. მ. დ. როგინიანცისა. გოლ. პრ., დ. № 41.

1896.



საქართველოს  
საქმიანობის

Дозволено цензурою Тифлисъ, 29-го Января 1896 года.



## მელიას სრიკი



რთხელ ტურა დამშეთლი  
გამორბოდა ტყიდან ჩქარა,  
უნდოდა რომ ვახშმისათვის  
სოფლათ რამე მოეპარა;

შუალამის დროს ერთ-გლეხის  
საქათმეში შეიპარა,  
თავი წასწყვიტა ვარიას  
და მუცელსა ჩააბარა.

მარტო ეს სომ არ იკმარა,  
სხვებსაც მიჰყო ტურამ ხელი,  
დედალს, მამალს და ყვინჩილას  
გამოჰკლადრა მსწრაფლათ ყელი.

ვისაც ვაკკრა ტურამ კლანჭი  
და კბილები ბასრი, მჭრელი,



ძირს დაავო, მოიძადა  
 მთელი კვირის საკვებელი.

იქვე, თურმე, საბუდარში  
 კრუხიც იყო დამალული,  
 კვერცხზე იჯდა და საბრალოს  
 უსკდებოდა შიშით გული.

ამას ტურამ სიჩქარისგან  
 თვალი ვერსით მიაკარა,  
 ზურგს მოიგდო ნანადირი  
 და თავის გზას გაეჩქარა.

იფიქრა, რომ დანაცვილებს  
 ჩემს სოროში შევზიდამო  
 და მერე კი დამშვიდებით  
 მოუჯდები და შევჯამო;

ჯერ მამალი საჩქაროზე  
 მიათარია თავის ხვრელში  
 და შემდეგ კი დაუბრუნდა  
 დანარჩენებს საქათმეში.

ამ დროს თურმე ტურას მელა  
 უთვალ-თვალეებს შორიდანა,  
 მიცუნცულდა და მამალი  
 თვის სოროსკენ გააქანა.

ტყრამ ძლივ-ძლივს ქათმის გრიგინა  
გადმოზიდა სამის გზობით,  
ეს არ იცის, რომ მელიამ  
გააცალა ყველა მტრობით.

ბოლოს ტყრა რომ დაბრუნდა,  
აღარ დახვდა არათფერი;  
ბევრის მდომმა იმ ღამესაც  
ვერ გაიძლო მან მუცელი.

მაშინ თქვა, რომ ახილა,  
რაც მომერგო სამართლითო,  
კაცი ცოტასაც დაჰკარგავს  
თურმე ბევრის სიხარბითო.

- ი. ეწერელი.



მაროს თავ-გადასავალი.

(ფრანგულიდან)

I



რთ შეენიერ დილას ჰატარა მაროს  
 სადილი მიჭქონდა თავის მამისათ-  
 ვის ტეეში; მამა მისი შეშის საჭრე-  
 ლათ იყო წასული.

მარო და მისი მამა, ერთ ჰა-  
 ტარა სახლში ცხოვრებდენ მამიდა  
 ქრისტინესთან ერთათ, რომელიც  
 დაქვრივების შემდეგ დასახლდა თა-  
 ვის მამა თევდორესთან. ეს მამინ  
 მოხდა, მაროს რომ დედა მოუკვდა

და ჯერ ისევ სულ ჰატარა იყო.

თუმცა გულ-კეთილი ადამიანი იყო მამიდა ქრისტინე,  
 მაგრამ ანხსლი სასიათი კი ჰქონდა. მაროსაც და მის მა-  
 მასაც ძალიან ეშინოდათ მამიდა ქრისტინესი.

მოგესწენებათ გლეხ-კაცის ავლადიდება. სადილი, რო-  
 მელიც მიჭქონდა მაროს სელცასოცში მაგრათ გამოკრუ-  
 ლი თავის მამასთან, შეადგენდა ჰურს, უველის ნაჭერს  
 და ერთ სელად ღვინოს.





მარო ამ დღეს იმ გზით აღარ წავიდა, რომლისადაც წინათ დადიოდა, რადგან უნდოდა გზაში ახალი რამ ენახა; მაგრამ ძლიერ კი ეშინოდა, როცა დიდ სეებს ქვეშ გადავიდა სოლმე.

მარო ცოტა ხანს შედგა ერთი უსარმახარი მუხის წინ სულის მოსაბრუნებლათ, რადგან ძლიერ მიწობდა და საკმაოთაც დაიქანცა; უცბათ მას შემოესმა ვიღასიც ქმენა. მარომ მიიხედ-მოიხედა და, რაკი ვეღარავინ დაინახა, იფიქრა, ალბათ მომეჩვენაო.

„გზა თუ ამერიანო!“ გაიფიქრა ზატარა ქალმა და მერე სმა-მაღლა წამოიძახა: „ვინ იცის მამაჩემს ახლა ძალიან შიშა ზურიო!“

„ზური! ზური! ზური!“ მკაფიოთ გაიმეორა რამდენიმე სმამ.

ქალმა მსწრაფლათ გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი, რომ დარწმუნებულიყო, ძილში ხომ არ მომესმა ეს სმაო და მერე კიდევ წამოიძახა.

„რაც იქნება, უნდა გავეჩქარო, თორემ მამაჩემი ცდას დამიწეებსო!“

„ცდას დამიწეებს, ცდას დამიწეებსო!“ კიდევ გაიმეორეს იმავე სმებმა.

მაროს აგრე რიგათ არ შეშინებია. „ვინ იქნება ისეთი ბოროტი, ფიქრობდა მარო, რომ მე მავნოს რამე, როცა მე არავისთვის არა დამიშავებია-რაო.“ მანც, რასაკვირველია, ძლიერ გაკვირვებული კი იყო ამ ამბით. მარო უფრო სასტათ დარწა, როცა თავის გარშემო დაინახა ზატარა კაცები, თითო-ორიოლი მტკაგლის სიმაღლისა.



ზოგი მათგანი ამომყრებოდა მიწიდან, ზოგი მუხნის-  
 როდნ კამოდოდა და ზოგი სის ტოტებიდან ცვიოდა.  
 მათ სსსეში თითქო გულ-კეთილობა, თანაც ეშმაკობა და  
 სიავე გამოიხატებოდა.

ამ უცნაურმა კაცუნებმა მორთეს სტუნაობა, გიჟები-  
 ვით დარბოდენ და იცინოდენ.

მაროს უნდოდა თავის გზა განეგრძო, მაგრამ რო-  
 გორ? კაცუნებმა ჩააბეს ფერხული მის გარშემო და მო-  
 ჰყვენ ცეკვას.

„ბატონებო!“ უთხრა მარომ ძლიერ თავაზიანათ: „გა-  
 მიშვით მამჩემთან, ის დიდხანია სადილს მიეღის.“

„სადილს მიეღის! სადილს მიეღის!“ შესძახეს კაცუ-  
 ნებმა, რომლებმაც ამ ღროს კიდევ გაათავეს ცეკვა. ერთ-  
 მა მათგანმა, როგორც ეტუობოდა, მათმა უფროსმა, წარ-  
 მოთქვა: „ჩვენ ვეღით იმის სადილსაო“, და ეველამ ერთ-  
 ხმათ მიამახა: „ჩვენ ვეღით იმის სადილსაო!“

„გამიგონეთ, ბატონებო, შევედრა მარო, ნაზი სმით:  
 „ამ კალათში ჩემი და მამის სადილი მიმაქვს; წაიღეთ  
 ჩემი სადილი, ოღონდ მამჩემისას კი ხელს ნუ ახლებთ:  
 ჯაფისაგან მოქანცული იქნება და ჭამა უთუოთ ესაჭი-  
 როება.“

კაცუნებმა გადაჰხედეს ერთმანეთს და თვალთ რა-  
 ლაც ანიშნეს, თითქო ეუბნებოდენ, „კაი გოგონააო“. მაგ-  
 რამ მანც კიდევ მიუახლოვდენ და დაუწვეს უვირილი: „აბა,  
 სადილი, მოიტა, მალე!“

მაროს ეგონა, ჩემ წილს მჯერდებიანო, ვასსნა ხელ-



სახოცი, ამოიღო კალათიდან თავისი წილი ეგვიპტის  
პური და მიაწოდა ჰატარს კაცს.

ამა თვალის დასამსახურებზე გადაულაზა მაროს სა-  
დილი.

„კიდევ მოიტა, კიდევ! იმხორდენ ჰატარს კაცები, თან  
ძირს იცქირებოდენ და თითქო ეკითხებოდენ ერთმანეთს:  
„აბა ვნახოთ, ახლა მანც გაჯავრდება, თუ არა?“

მამის სადილიც გაჭკრა, როგორც ჰატარს ქალისა.

უფროსმა ისევ შეჭკრა კალათი ხელსახოცში, თითქო  
ისევე სასუქო სორაგითა და თვაზნიანათ გადასცა მაროს.  
ცელქები ისევ მოჭევენ ცეკვას ქალის გარშემო, ბოლოს  
მადლობა დაბარეს მამასთან და გაუშვეს.

## II.

თევდორეს ბევრი ეშუავნა მთელი დღია. ერთი სა-  
ათია მოუთმენლათ ელოდა სადილს, რომელიც მართლაც  
რომ შეერგებოდა ბევრი მუშაობის შემდეგ. მამა დაწმუ-  
ნებული იყო, რომ მარო დროსე მოვიდოდა და მო-  
ახლოვდა თუ არა სადილის დრო, თევდორემ გადააგდო  
იქით ცუდი, გაიკეთა ფიხნის ხუნჯა და სადილის ლო-  
დინში იყო. მაგრამ მარო არა ჩნდა და თევდორე, ცოტა  
არ იყოს, შეშფოთდა: ბოლოს, კარვა ხნის ცდას შემდეგ,  
თვალი მოჭკრა თავის ქალს, მარო გაქანებული მორ-  
ბოდა.

„რბ დაგეძარათ, ჩემო ჰაწია?“, შეჭევირა შორიდან  
თევდორემ: „მე მუგონა ჩემმა ჰატარს შვილმა დაძვიწა“



და უსადილოთ მომიხდება დღეს მუშაობა მეტი, რას  
 დაიგვიანე ასე ძალიან?“

ზატარა ქალს ისეთი დაღონებული სახე ჰქონდა, რომ  
 ეს მეშეშემ იმ წუთშივე შეამჩნია.

„სომ არა მოგივიდა რა, ჩემო კარგო? აბა, მითხა-  
 რი, შვილო!“

— ოჰ, მამა, კაცუნებმა შეჭამეს ჩვენი სადილი.

— შეჭამეს ჩვენი სადილი?! წამოიძახა გაკვირვებულ-  
 მა მეშეშემ. ეს რას ნიშნავს? ვინ არიან ის უსდელი კა-  
 ცუნები.

— დიდი მუხის ძირას შემხვდენ, მამა ჩემო, და უკე-  
 ლაფერი წამართვეს; ბევრი ვესვეწე, მაგრამ არ გაძიგო-  
 ნეს! — ამასთან მარომ ცხარე ცრემლები გადმოჰქვარა. მეშე-  
 შე დარწმუნდა, რომ შვილი მართალს ეუბნებოდა. მაგრამ  
 მაინც ვერ მიმხვდარყო, რას ნიშნავდა მისი სიტყვები,  
 რომელ ზატარა კაცებსე ლაპარაკობდა. თუმცა საშინლათ  
 შიოდა, მაგრამ ასლა მხოლოდ ქალის მწუსარებაზე ფიქ-  
 რობდა და დაუვავებით უთხრა:

„არა უშავს რა, ჩემო კარგო! მართალია, სასიამოფ-  
 ნო არ არის, რომ უსადილოთ დავრჩით, მაგრამ ისევე  
 ისა სჯობს, ადამიანმა სულ არ იფიქროს ამასე. ვინ  
 იცის, იქნება იმათ ჩვენზე ძლიერ შიოდათ. აბა, მაინც  
 მომეცი კალათი ვნახო, ხომ არა ჩაარჩინეს-რა შიგ?“

გამოართვა კალათი და მოსწნა სელსახოცი. სუფთა  
 ტილოში გამოხვეული იყო დიდი ლორის ნაჭერი.

„ოჰ, ოჰ! — შეჭვივრა მეშეშემ. — შეხედე ერთი ამას!



თუ მართლა იმ ზაწია ბატონებმა შეჭამეს ჩვენი სადილი, მე ვკონებ. კარგი სამხეობროც გადაუხდიათ. თუ ასეა, ნეტავ ყოველ დღე ჭამონ სოლმე ამ ზატარა ემაწვილებმა ჩვენი სადილი. ერთი ნახე, კიდევ!“

ლორის გარდა, კალათში იყო კიდევ კაი თეთრი ჰური, ქაღალდში გამოხვეული მარლი, ორი დანა, ორი ჩანგალი და დიდი ბოთლი ღვინო.

მარომ დასჭეიტა თვალები; როგორ? ამისთანა კაი რამეები მოჭეონდა კალათით და კი ვერ შეამჩნია! კალათი სულ ისე სუბუქათ ეჩვენებოდა, თითქო ცალიერი ყოფილიყოს. რა კუდიანები ყოფილან ის კაცუნები! კარგი კი ვქენი, რომ მუსის ძირას გამოვიარე. იმათაც, რა კარგი ჰქენეს, რომ გამცარცვესო!

„აბა, ჩემო გვრიტო, შევუდგეთ საქმეს, ძაღვ!“

მეშეშე ჩამოჯდა სესე და ზატარა შვილიც გვერდით მოისვა.

დაიდეს წინ ლორის ნაჭერი, მერე ამოიღეს კალათიდან დანა-ჩანგალი და დაიწვეს ჭამა. დრო გამოშვებით მოიყუდებდნენ სოლმე ბოთლს და ჩააჩაკრაკებდნენ ღვინოს.

### III.

ესენი ისე გულ-მოღვინეთ მიირთმევდნენ, ისე იყვენ კართულნი ამ საქმეში, რომ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ მოუახლოვდათ მათ ერთი ვიღაც კაცი. ეს იყო შუა ტანისა, კარგათ ჩასუქებული.

სულ ახლო რომ მოვიდა მამაშვილთან, გაჩერდა, თო-



ფის კონდასი მიწასე დაუშვა და ხმა ამოუღებლივ დასცა და  
 ქერდა ორივე მოსადილეს. უცბათ ხმა მადლა და მკაფიოთ  
 წარმოთქვა, ისე რომ შეაშინა მამაც და შვილიც.

„ჰეი, ჰეი! ერთი ამათ დაჰხედეთ, თუ ღმერთი გწამთ!  
 მე, ტეის მცველს, წელიწადში სამჯერ თუ მომიხდება ამის-  
 თანა ლორის ჭამა და, აქ უეურეთ ერთი, ეს ვილაც მე-  
 შეშე ლორსა და შუშუნა ღვინოს მიირთმევს!“

მეშემეს, როგორც საწვალ კაცს, დიდი შიში ჰქონდა  
 ტეის მცველისა და ამიტომ ისევ თავაზიანობა არჩია.

მან დაანება თავი ჭამას და სანამ იტეოდა რასმე,  
 ტუჩები სელით მოიწმინდა.

„მართალი ვახლავთ, ბატონო სვიმონ; რაცა ბრძა-  
 ნეთ სრული ჭეშმარიტებაა. დიად, სწორეთ სასაცილოა,  
 რომ ერთი უბრალო გლეხი კაცი, რომელსაც ქვეყანასე  
 არაფერი ახადია-რა, ამისთანა კაცი საჭმელების ჭამას ვბე-  
 დავ, თუძვა კი სრულიათ შემთხვევით იშოვა ჩემმა ჰატა-  
 რა ქაღმა და გულ-კეთილობით მეც გამიხიარა. ჩვენ,  
 როგორც ჰხედავთ, ჯერ სულ არ შეგვიჭამია და დიდათ  
 დაგვაუალებთ და ჰატის კვცემთ, თუ ჩვენთან ერთათ თქვენც  
 მიირთმევთ.“

სვიმონს კაცი ჭამა უეფარდა და ამიტომ აღარ გაამე-  
 ორებინა თხოვნა. ლორი ჯერ კიდევ ბლომათ ჰქონდათ,  
 ტეის მცველმა თავის დანით მოიჭრა ნახევარი და წინ  
 დაიდო.

მაგრამ იმ დროს, როცა ნაჭერს თლიდა, უცბათ ლო-  
 რიდან გამოსტა ერთი დიდი ბაჟაჟა, ერთი შეიკუნტრუშა

ტლანქათ, დადგა უკანა ფეხებზე და დაუწყო გამტარებით და დაცინვით ცქერა.

ბაუაყის დანახვაზე სვიმონმა სწრაფათ უკან დაიწია, მაგრამ ამითი ვერ გადარჩა განსაცდელსა; ჰირველ ბაუაყს მოჰყვებოდა მეორე, მეორეს მესამე და მალე მოელმა სროვამ კასწია რიგ-რიგათ ტუე-ტუე.

როცა ტუის მცველი გონზე მოვიდა, წამოსტა საშინ-ლათ გაანხსნებულად.

— „ოჰ, ოჰ! — დაიღმუვლა ცოფიანივით — მესმის ეს რასაც ნიშნავს: ამ ოხერ მეშემეს ბორბოტ სულეებთან ჰქონია ერთობა. თუ ვინმემ გამოართვა, რაც თავისთვის აქვს შენახული, ბაუაყებთ უცდევს, ჰა! ეს ჯადოსნობაა! არიქა, დაიჭით მეშემე! დაიჭით მეშემეს ჰატარა ქალი! ჰო, ახლა კი ვიცი, ვინ უთავასა ეს კაი ლორის ნაჭერი ამათ; ორივეს ცეცხლში დავაწვევინებ, როგორც კუდიანებს.“

სვიმონმა კასწია ხელები, რომ ეტაცნა საწუალ მეშემესთვის; მაგრამ ამ დროს ვიღამაც თავიდან ქუდი მოაგდებინა და გადააგორა ოც ნაბიჯზე. ეს იმ წუთში მოტრიალდა, რომ დაენახა, ვინ იყო ასეთი კადნიერი; ოციოდე ჰაწაწა კაცი უდგა წინ, იღმიჭებოდენ და ფეხებით ქუდს აბურთავებდენ,

სვიმონი სულაც არ იყო მშიშარა. ძლიერ გაბრახდა, რომ ისე თავსედათ ექცეოდენ მის ქუდს, და მოინდომა ჯერ ქუდი წაერთმია და მერე სამაგიეროდ გადაეხადა.

სვიმონი მოჰყვებოდა ლანძღვა-გინებას, მაგრამ კაცუნები



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ანუნშიაც არ იგდებდენ მის სიბრახეს; ისინი ისევ არ  
სეინათ აბურთავებდენ ქუდს, სვიმონი ჩაერია, სტაცა სე-  
ლი ქუდს და დაიუვირა: „გაუშვით თქვე სამაგლებო, მას-  
სარებო!“

ზატარა კაცებმა გაუშვეს სელი ქუდს, მაგრამ ახლა  
თითონ ქუდის ზატრონს მისცვინდენ. ჯერ დაიწვეს მის  
გარშემო სტუნაობა და თან საშინლათ ეღმიჭებოდენ და  
ევიროდენ. მერე დაუწვეს სვიმონს ცემა და ჩქმეტა უოვე-  
ლი მხრიდან. სვიმონი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერც ერთი  
ვერ დაიჭირა. როცა კი იფიქრებდა, რომ ეს-ეს არის  
დავიჭირეო, ზატარა კაცი თითებს შუა გაუძვრებოდა ხოლ-  
მე და თან სასაცილოთ იგდებდა. ერთმა ისე უჩქმიტა,  
რომ სისხლი დაადინა. ის იმ წუთს მოტრიალდა, მაგ-  
რამ ამ დროს სხვა მხრიდან სხვებმა უჩქმიტეს.

ზატარა მარო კეთილი გულის ქალი იყო. ჯერ გა-  
ჩუმებული და გაოცებული იდგა, მერე კი შეეცოდა ტუის  
მცველი; მისი უსამართლობა დაგვიწვებული ჰქონდა.

„ოჰ, ნუ! ჩემო ზატარებო. ნუ!“—მიჰმართა მან კა-  
ცუნებს:—„ნუ შერებით ამას; გაჩერდით, საწუალ კაცს  
არა დაჰმართოთ-რა!“

კაცუნებმა ახლა ბავშვის გარს დაიწვეს ცეკვა. თან  
ცეკვამდენ და თან ძღეროდენ რაღაცას; სიმღერის დროს  
სშირათ იმეორებდენ, რომ თუ სვიმონი დაუშავებს რამეს  
ზატარა ქალს, ჩვენ ვაუურებთ მას სეირსაო. სიმღე-  
რის დროს ცელქები მუქარით თითს უქნევდენ ტუის მცველს  
და უცინოდენ მაროს. საბრალო ტუის მცველი დარეცია-



ნებულივით იყო. მის ქუდს ქუდობა აღარ ეტყობოდა; ტანისამოსი დაჭყურეწოდა; ფეხსაცმელებზე ღილები ასწვევტოდა; ვეელგან, სადაც ეჩქმიტათ, ტკივილს გრძნობდა, და, სულ ცოტა, ორას ალბაც მანც იყო ნაჩქმეტი. მან აღარ იცოდა ან რა ეფიქრა, ან რა ექნა, და გიჟივით იცქირებოდა აქეთ-იქით. მოხუცმა მეშეშემ საჭიროთ დაინახა რამე ეთქვა, მდებლათ დაუკრა თავი ვეელას და თქვა:

„ბატონებო!“ „მე და ჩემი მარო დიდათ გმადლობთ ამდენი თქვენი წუბლობისთვის და აგრეთვე თქვენ მიერ გამოგზავნილ შვენიერ ლორისათვის. თუ არ გეწეინებათ, ჩვენ წავალთ შინ და თქვენ აქ დაგტოვებთ, ჩვენო კეთილო მეგობრებო.“

ტუის მცველი ამისავით ზდილი არ გამოდგა. ერთი კიდევ შეიგინა, გადაჭბღვირა ჰატარა კაცებს, ჩამოიფხატა თავზე ქუდი და გაბრუნდა; კაცუნებმა კიჟინით და სიცილით გადაცილეს.

როცა ტუის მცველი მიიძალა, ჰატარა კაცებმა, ერთი კიდევ გაუცინეს მაროს, თავი დაუკრეს გლეხ კაცს და სადღაც გაჭქრენ.

## IV

მარო და მისი მამა გაუდგენ გზას თავიანთ ჰატარა ქოსსკენ. რასაკვირველია, კაცუნებზე გააბეს ლაზარაკი. ვინ უნდა ეოფილიევენ? საიდან გაჩნდენ? „მანც,



მე არა ვგონებ, თქვა ბოლოს მეშეშემ, — რომ ცუდი კაცი იყვეს ის, ვინც ასეთ სანაქებო ღორის ნაჭერს თავაზობს ვისმე“.

მაროც არ ეძღუებოდა ჰაწია კაცებს, რომლებიც მას ასე კარგათ მოექცენ.

სახლს რომ მიუახლოვდენ, შორიდან თვალი მოჰკრეს, რომ მამიდა ქრისტინე კარების წინ იდგა და მათკენ იცქირებოდა; შუბლთან ხელი მიეღო, რომ უკეთ გაერჩია. მამიდა ქრისტინე, ეტუობოდა, არ იყო კარგ გუნებაზე.

„რათ მოდიხარ, კაცო, აგრე ადრე შინ? ესე დასარმაცდი ამ სიბერის დროს? ჯერ სომ ნახევარ დღესაც არ გაუვლია?“

— ჭო! ჭო! რანაკვირველია, უპასუსა თევდორემ, — დღეს ძაღვ დავბრუნდით, მართალია, მაგრამ აღარ შექმლო მეტი მუშაობა.

— მე ვიცი, რა მიზეზიც არის ამისი, — წაიბუზღუნა მამიდამ. მარომ აგაღებინა ხელი მუშაობაზე, განა, რომ შინ წამოგვევანა? რა უშავს, განა, ამ წარმაცს, რომ წამოგიღოს სადილი და არ მოგაცდინოს სოღმე. როგორ არა გრცხვენია, ქალბატონო, რომ მამაშენს აცდენ!“

— არა, მამიდა... — უნდოდა რაღაც ეთქვა მაროს, მაგრამ მამიდამ მკაცრათ სიტყვა გააწევეტინა და შეუტია — „უფროსი რომ გელაპარაკება, ჩუმათ იდეგ და უური უგდე“.

თევდორემ ძალზე ამოიოხრა, სწორეთ ჯოჯოხეთს

ჭკბუდა მათი სახლი, როცა მამიდა ქრისტინე გუნებას აძლევდა იყო. მამიდა თან და თან უფრო გაკაპავდა. მაროს სმა რომ ამოეღო, ან განძრეულიყო, ამისათვისაც კი უჯბ-ვრდებოდა. როცა კი მამა გამოხარულვას გაბედავდა სოლმე თავის ქალისას, მამიდა მაშინ აძას მოუბრუნდებოდა და დაუწევებდა ლანძღვას.

რადღა გაეწეობოდათ საწულებს! ისღა დარჩენოდათ, რომ მოეთმინათ და განუძებულიყვენ.

როცა მოახლოვდა ვახშმის მხადების დრო, თევდორემ მოინდომა ესიამოვნებინა ქრისტინე და უთხრა, რომ არ შეწუხებულყო და ვახშამი არ გაეკეთებინა მისთვის და მაროსთვის.

„მერე, რატომ, თუ ღმერთი გწამთ?“

„იმიტომ, რომ ტყეში ისეთი სადილი გახსელით, როგორიც ჩვენ დღეში არ გვიჭამია.“

მამიდამ ურრები აცქვიტა და დაუწყო გამოკითხვა. მეშემე მოუწვა ქრისტინეს საუცხოვო ლორის ამბავს. ქრისტინემ რომ მოისმინა, სულ ცუცხლი მოიკიდა სიბრახით. „აი, თქვე ღორმუცელებო, თქვენი თავის მეტი რომ არავინ გახსოვთ! როგორ! მთელი ღორი თქვენ შეჭამეთ და მე კი ერთი ზატარა ნაჭერიც არ მომიტანეთ, თუმიცა თქვენ მუშაობაში ამომდის სული.“

— როგორ არა, ჩვენ ვაპირებდით წამოდებას, უთხრა მარომ, რომ ტყის მცველი არ მოსულიყო...

— ჩუმათ!

— დანარჩენი ღორი კი გადაიქცა...

— კიდევ! სმა!



მამიდა ქრისტინე ძლიერ უზატოთ ეპურობოდა-თავის მძას და რამდენჯერმე ხელიც აიწია მაროს გასალასათ.

არც იმ კაცუნებს დააკლო ლხმძვება-გინება, რომლებსაც მარო ასე აქებდა.

„მასხარეები, სძაგლები! ამ წარმაცებს კი ჰიროში ჩრიან რაგინდარასა და საწუალ დედაკაცს კი, რომელიც ამდენს მუშაობს, ეურბდლებას არ აქცევენ. მასხარეები, უბედურები!“

თქვა თუ არა ესა, უცბათ გარედან მოისმა საშინელი ხარხარი. კარები გაიღო და ოთახი გაივსო ჰატარა კაცებით, რომელნიც ძლიერ მიაგავდენ ტეეში რომ ნახეს მათ. იქნება ისინიც იუვენ.

კაცუნები მიცვინდენ საწუალ მამიდას, ჩასჭიდეს ხელი და ჩაბეს გაცხარებული ფერსული. ისე დახტუნებდენ მამიდას, რომ მას ხმა ველარ ამოეღო. მაგრამ მერე მორთო უვირილი: „ეაიძე! ღმერთო ჩემო! არ შემძლია, არ მინდა! ოჰ! ფესებო, ფესებო! ოჰ, ოჰ! თუ ღმერთი გწამთ, მიშველეთ!“

ჯერ ერთი ფესხაცმელი გავარდა სტუნაობაში ფესიდან და მერე მეორე; თავშალი მოესხნა თავიდან და ჭადარბ თები ჰხარში გაეშალა.

გულ-კეთილ მაროს დაავიწუდა მამიდას ჯავრობა და მორთო უვირილი, რომ გაეგონებინა როგორმე: „ჰატარა ბატონებო! ჩემო საუვარელო ჰატარა ბატონებო! ნუ მოჰკლამთ ცეკვით მამიდას. სო ჰხედავთ, რომ ვერ აგეოლიათ. დახებეთ თავი, თუ ღმერთი გწამთ. ცუდი გულით“

W

საქართველო  
საბჭოთაო

კი არა უთქვამს-რბ თქვენზე. ხომ სრულებითაც არ გიცნობდათ.

კაცუნები იმ წუთსვე შეჩერდნენ. მაძიდა ქრისტინე და ეცა მიწაზე, არბქათ-გამოლევული, თითქმის გულ-შეწუსებული. მეშეშე და ქალი მივარდნენ მაძიდას. კარგი კიდეც, რომ მარომ დროზე შეაწვევებინა ცეკვა, თორემ ორჯელ კიდეც რომ შემოეცრიანლებინათ მაძიდა, უთუოთ სულს განთხევდა.

მაძიდა იმდენ ხანს ეგდო მიწაზე გულ-წასული, რომ ზატარა მარომ იმედი კიდეც დაჰკარგა მისი მობრუნებისა. ის ხშირ-ხშირათ გადაჰხედავდა სოლმე კაცუნებს იმნაირი სახით, თითქო თხოვდა, რომ მოესულიერებინათ მისი მაძიდა.

ესენი კი ცოტა მოშორებით შეჯგუფულიყვნენ ერთათ, უცქეროდნენ მაძიდას და ეტეობოდათ, ეცოდებოდათ კიდეც. მაროს დადონებულმა სახემ უფრო ძლიერ მოულობო გული კაცუნებს. ერთი მათგანი სწრაფათ მივარდა, ამოიღო უბიდან ზატარა შუშა, მაძიდას ცხვირ წინ მოსსნა თავი და ასუნებინა. სხვებმა მოურბებინეს ფეხსაცმელები და ჩააცვეს; ერთმა კიდეც თავზე მოახვია თავშალი. მერე ეველამ ერთათ თავი დაუკრეს და მთელი ბრბო ერთათ გავარდა გარეთ და მიიძალა ტყეში.

მაძიდა ქრისტინე მოვიდა გონზე და გაკვირვებული სახით შეცქეროდა კაცუნებს, სანამ ისინი ოთახში იუვენროცა სულ ეველანი გაჰქრენ, მიუბრუნდა თავის ძმას და მძისწულს. სასე დამშვიდებული ჰქონდა და არ ეტეობო-



და არც სიბრძნე, არც შეწუხება. „ეჰჰ, ესეც ესეც წარმოთქვა წინართ“.

ამ სიტუაციაში კიდევ გაბავრდეს და კიდევ ანიამონეს მარო და მისი მამა.

უცბათ სამივეს ეურბდებოდა მიიქცია ერთმა სანახავმა. კარნი გაიღო და ოთახში გაჩნდა რკვალი მაგიდა თეთრი სუფრით გადაფარებული. ზედ ელაგა სადილის მოწეობილებს სამი კაცი სთვის. მაგიდაზე აგრეთვე იდგა სხვა-და-სხვა საჭმელები და ეს ამტკიცებდა, რომ ვახშამი სადილზე ნაკლები არ იქნებოდა. მართლაც და სამივეს ძლიერ ეგებათ.

## V

მარო უცბათ შეკრთა. იმ დროს, როცა მამიდა აწვდიდა ღიმილით შემწვარი ღორის ფეხს, მას მოესმა მკაცრი ხმა მამიდა ქრისტინესი, რომელიც ჩასმასოდა ეურში:

„კიდევ გძინავს? შვიდი საათია! ადუ, შე ზარმაცო, შენა!“

მარომ სამჯერ გაახილა და დაჭსუჭა თვალები. ვერ გაეგო, რა ჭხდებოდა მის გარშემო.

ბოლოს მამიდას მუჯღუგუნმა ძლიერ ძლივობით ცოცხათ გამოაფხიზლა მარო; ის თავის ლოგინში იწვა. მზის სხივები მოსდგომოდენ ფანჯარას, თითქო უნდათ შეერცხვიანათ ზარმაცობისთვის; „გუგულის“ მოკლე ისარი შვიდ საათს უჩვენებდა და გპელი ისარი კი თორმეტზე იდგა.

ეჭვი აღარ იყო, დილის შვიდი საათი უნდა ყოფილიყო და თუ განცვიფრებულ მაროს ჯერ კიდევ მაინც არა სჯეროდა, ძალე „გუგულმა“ ამაში ნამდვილათ დაარწმუნა. მან თავის სრინწიანი სმით ნელ-ნელა დაუკრა შვიდი საათი.

„მერე, მაშიდა... თქვა მარომ, ბურანში.

— რა მერე?

— ის რაღა იყო: ჰატარა კაცები, ლორის ნაჭერი, ბაჟაყები, თამაშობა, შემწვარი ღორის ფესი?“ —

მაშიდა ქრისტინემ ჯერ გაკვირვებით შეჰხედა, მერე მივიდა მაროს ჰატარა მაგიდასთან და წამოავლო ხელი სურსას, როგორც ეტუობოდა, მაროსთვის თავსე უნდა დაესხა გონებასე მოსაუვანათ.

„ნუ, მაშიდა, ნუ! შეჰვირიბა მარომ და სწრაფათ გადამოცა ლოკინიდან ძირს; ნუ დამსხამ წუალს, ახლა სრულებით მღვიმავს; სიზმარში ვიყავი“.

— ჰა? სიზმარში იყავი?

— ჰო მაშიდა!

— იცი მერე, რომ მსუნაგებს ეძახიან იმისთანებს, რომლებიც სიზმარში ლორსა და შემწვარ ბარკლებს ხედავენ! ამისთანეებზე რომ დღისით არ გეფიქრბ, არც სიზმარში ნახავდი.

მარომ თავი ჩაჰქინდრა. მართლაც და, ვაი თუ მსუნაგი ვარო! იმიტომ თუ შესიზმრა ეს ლორი და შემწვარი ბარკლები, რომ გუშინ სკოლაში როცა მივდიოდი, დიდი სანი ვუცქირე მექსვეს დუქნის ფანჯარაში გამოფენილ სანთავაგესო.



— ჰო, მამიდა, მაგრამ ბაუაუები, კაცუნები, ნი, თქვენი ცეკვა, ესეც ხომ სუნაგობის ბრალი არ არის?“

მამიდამ ააშობინა სოხმარი ჰატარა ქალს დაწვრილებით. მერე ცოტა დაფიქრდა და უთხრა:

„ბაუაუები“ არ ვიცი საიდან გაჩნდნენ; ჰატარა ცეკვის ნახვა კი იმ სულელური ზღაპრების ბრალია, რომლებიც შენტვინ უამბნიათ. სვიმონს რომ ჩქმეტავდნ და მამიდას აწვალებდნ ცეკვით, ეს იმის ბრალია, რომ შენ გულში ჩაკეულია, თუ რამე უწვეინებიათ შენტვის სვიმონს ან მამიდაშენს. სწორეთ ასეც არის. მართლაც და სვიმონი ერთხელ აკი გაგიჯავრდა, ტყეში რომ ახლათ გამოსული ელთრტები დაგემტკობია, და მეც ხომ სშირათ გტუქსავ სოლმე, რომ არა ხარ გამკონი და გამრჯე. უფროსი კი მაშინ მოგექცევა ტკბილათ, როცა შენც კარგათ მოიქცევი და ასიამოვნებ. აბა სცადე, თუ მართალი არ გამოდგეს ჩემი სიტყვა.“

გ. ბ—ძე.







დედა და შვილი.



ა ხანია, არ უნახავს  
დედას ერთათ ერთი შვილი,  
რა ხანია, არ სმენია  
საუბარი მისი ტკბილი;

—  
რა ხანია, არ ჩაუკრავს  
გულში სახე საყვარელი,  
რა ხანია, არ უგრძენია  
ძუძუებზე მისი ხელი!...

—  
„ვაჰ თუ, შვილო, გიჰირს რამე:  
აფათა ხარ, ან იყავი,  
მე-კი შორს ვარ და არ ეცი...  
ოჰ, მოგიკელა ჩემი თავი!“

—  
„ვაჰ, თუ გშია და გწყურია,  
ცივი გხედება შენ ნიავ“,



მე-კი შორს ვარ და ვერა ვგრძნობ...  
 ოჰ, მოგიკვდა ჩემი თავი!

„ვაჰ, თუ მარტო გდინარ სადმე,  
 მოჩვენება გაფრთხობს ავი,  
 მე-კი შორს ვარ და ვერ გშეელი...  
 ოჰ, მოგიკვდა ჩემი თავი!

ამ ნაირათ მოთქვამს დედა,  
 როცა შეილის ბედი მწარე  
 აგონდება და თვალთაგან  
 სდის, წყაროსებრ, ცრემლი ცხარე.

მაგრამ სევდას გულში იკლავს  
 გამსჭვალული ტკბილ გრძნობებით;  
 საყვარელ შეილს წერილსა სწერს  
 და ამხნეებს ამ სიტყვებით:

„თვალის ჩინო, ჩემო შეილო,  
 დედა შენი გენაცვალოს,  
 აბა ჰე, თუ კაი სწავლით,  
 გამიხარებ გულს საბრალოს!

„ზარმაცობა არ დაიწყო  
 და სირცხვილი არ მაქამო;  
 ხომ იცი, რომ გული წყლული  
 შენით უნდა დავიამო?..

„ღმერთი მრავალ-მოწყალეა:  
 ჩემ სიქერივეს, შენს სიობლეს  
 შეიბრალებს და მოვა დრო  
 ველირსებით ტკბილ სიცოცხლეს.

„როდესაც შენ დაბრუნდები,  
ნამდვილ კაცთ ვარაქმნილი  
ერთმანეთსა კვლავ ჩაეიკრავთ  
ბედნიერი დედა შვილი!...“

„მაშ, გამხნედი, გასალ-კლდედი,  
ჩაისახე გულს იმედი;  
ნურასოდეს ნუ შედრკები,  
ვანგირისხდეს რა გინდ ბედი!“

„და ერთათ ერთ მიზნათ გქონდეს,  
ვაიზარლო სასახელო,  
რომ შენით თავს ეიწონებდეთ  
მე და მთელი საქართველო!...“

„შვილიც სწავლობს... უნდა, დედის  
იმედი არ გააცრუვოს...  
ღმერთო, მიეც მას ძალ-ღონე,  
რომ სურვილი აისრულოს!...“

ლუკა მეგრული.



## ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი .

 (გუქღვნი ჩვენს პატრივრემულს მოღვაწეს ილია  
 ივანეს ძეს წინამძღვრამეილს)


აისის შვენიერი დილა იყო. ამომავალ მზეს აღმოსაელეთის ცის კიდური, ვარდის ფრათ აელაპლაპებინა. მთის წვეროვებ შუა გამოძკრთალა სხივები ღამის ჯანყს არღვევდა, მაღლობებიდან დაბლა-დაბლა ეშვებოდა და ახლათ გამოღვიძებულს ბუნებას გულში ეკონებოდა. გათენებით გახარებული ჩიტები ათას გვარი ჭიკჭიკ-გალობით საღამს აძღვედენ ამომავალს მნათობთა მეფეს...

სოფ. ედემისდარის სამეურნეო სკოლის წინ მდებარე კოხტა წალკატში ყმაწვილები ფუტკრებივით ირეოდენ და ყვაილებს მზიარულათ მარგლიდენ. ერთი შავგვრემანი, ფართო მხარ-ბეჭიანი ახალგაზდა, რომელსაც ლურჯი ლაინის ბლუზის სახელოები აეკაპაწებიანა, ყმაწვილებს თავს დასტრიალებდა და დარიგებას აძღვედა. ეტყობოდა, მასწავლებელი იყო.

—კოტე, კოტე!—გასძახა მან ერთს ქერა გამხდარს ყმაწვილს, რომელიც თოხის მორყეულს ტარში პალოს არჭობდა. —შენი ავთ-მყოფობა შენს კვალსაც დასტყობია. დახე, რაფა შენსავით ჩაშომქუნარ—ჩამომხმარა ყვაილები!.. აი, აი, აი! რამდენი მტერი შემოსეფია საწყობებს! ხედავ, რამოდენა ჯიჯლაყა აზრდილა, მთლათ არ დაუფარავს საბრალოები!.. აბა, დაფაცურდი შენებურათ, ეს ბალახ-ბუღახი საჩქაროთ მოაცილე და მერე, რწყევას თუ არ მოაკლებ, უთუოთ გამობრუნდება. აბა, შენ იცი, ჰა!

კოტე მაშინვე თავის კვალში ჩაცუცქდა და ბეჯითათ დაუწყო

მარგელა. ძალიან შერცხვა კოტეს, რომ მისი კვალი მასწავლებელმა დაუწუნა, მაგრამ რა ქნას, მას დაუდევრობით ხომ არ მოსვლია ესა. გურიიდან მოყოლოლ ციებამ საწყალი აქაც აღარ მოასვენა, მთელი ორი კვირა აცივა და გაკვეთილებს მოაცდინა. სულ ორი დღეც არარის, ლოგინიდან რომ ადგა. „ამბობენ, ცუდ ჰაეიან ადგილიდან მოსულს კარგი ჰაეა დაცდისო. უთუოთ მეც დამცადა. შეიძლება ამას შემდეგ აღარც კი გამაციოს. ნეტაეი მართლა!“ ფიქრობს კოტე და თან თაეის კეალს ბალახ-ბუღახს აშორებს.

დასტრიალებს მასწავლებელი წალკოტში, ერთი კვალიდან მეორეზე გადადის და ყმაწვილებს შესაფერს რჩევა-დარიგებას აძლევს. აგერ მიუახლოედა ის ალისფერ პერანგა ყაყაჩოების კეალს...

— ბარაქალა, ვანო! შენი ლოყებიეით არ გადაბრიალებულა ეს შენი ყაყაჩოები. ყოჩაღ, ჩინებულა მოელილია!

ვანოს ტუჩებზე სიამოენების ღიმილმა შეუთამაშა და მთლათ გაწითლდა. ძინ, ძინ, ძინ, ძინ!.. მოისმა ზარის წკარუნი და ყმაწვილები საუზმის საკმელათ წაეიდენ. წალკოტი ერთ წამს დაცარიელდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოეარდა.

— ვაი, ვაი, ვაი!.. — მოისმა წალკოტიდან მწარე კენესა.

— სუ! სუ! სსსუუუ! დაიშრიალეს აქეთ-იქით ყევეილებმა.

— ეინა ხართ მადლიანი, მიშეეღეთ! ერთი წეეთი წყალი!..

— ეინაა, რომელია ის საბრალო? დაიშრიალეს შორეულმა ყევეილებმა.

— საწყალი რეზედაა, — უპასუხა ყევეილებს მიხაკმა. — რა ღმერთი გამიწყრება, ამხანაგისათეის რას დავიშურებ, მაგრამ წელან იმ ცელქმა გიგომ გვერდით ჩამომირბინა და ნამი სულ დამაყრეინა. კეთილო ზამბახო, შენს ღრმა ოქროს-ფერ გულში ჯერ კიდევ უთუოთ გექნება ჩარჩენილი ნამის წეეთები, ნუ დაიშურებ რამდენიმე წეეთს საწყალი მომაკედავისათეის!

თეთრმა ზამბახმა კეკლუცათ დაიხარა თაეი და მომაკედავს რეზედას უხეათ დააფრქეია გულზე დილის ნამის ანკარა წეეთები.

რეზედა მოსულიერდა და მადლობით საეესე თეალებით აჰვედა თაეის კეთილის ყოფელს.

— გმადლობთ, მეგობარო, თანაგრძნობისათეის! ეეცდება სამაგიერო... მაგრამ რა, რალა პატიეი უნდა გეე მე, საწყალმა, ცალი



ფეხი სამარეში მიდგია. საცაა მზე თავის მწვევ შუქს ჩამოანთებს და სიცოცხლეს გამომასალმებს. ოხ, ის ბოროტი ბავში! რა შეუბრალებლათ მომაგლიჯა დედის ზეკრდიდან, როცა მე, ახლათ გამოღვიძებული, ძუძუებში ეკონებოდი და ხარბათ ეწოვდი წვენს... რა დღეში ჩავარდი! საცაა კიდევ მალე შემოირბენენ ის საძაგლები, ამ მყარალ ბალახებთან ერთათ მეც ნეხვის საზიდ ურემში მომაქცევენ და ორმოში გადამიძახებენ... ვაი, სირცხვილო! ზიზღისაგან თმა ყალბზე მიდგება. ნეტავი მაქინვე გავესრისე, ერთბაშათ სული ამოერთმია და ეს სირცხვილი კი არ მენახა.

კენესით დააბოლოვა რეზედამ თავისი გოდება.

— შრ, შრ, შრრრ!.. ასტყდა ყვაეილებში საშინელი ყაყანი.

— მეტის მოთმენა სწორეთ აღარ შეიძლება!—აიმაღლა ხმა ნარგიზმა.—ერთმა ბავშმა მეც ფეხი დამადგა და კინალამ მიწასთან გამსწორა. რის ვაი-ვაგლახით გავიმართე წელი...

— მე კიდევ ყვაეილა მომაგლიჯა,—წამოიძახა მიხაკმა.

— მეც! მეც! მეც!.. მოისმა ყოველი მხრით ყვაეილებს ხმა.

ახ, დრჩნი, დრჩნი წაჩსუღნი მარად,

გაჭჭრენ, წაჩვიდენ სიზმარებჩ ჩქარად!..

— წარმოსთქვა ამოხვრით იასამანმა.—ახ, რა დრო იყო უწინ, რომ იცოდეთ! მაგრამ თქვენ რა გეცოდინებათ, ერთ წელიწადსაც ვერა სძლებთ, თქვე საწყლებო! აი, შეიძლება, ქალბატონ ვარდს ახსოვდეს... ჰაი, ჰაი, რა მომეღოელი გეყავდა იმ ნეტარს დროს! ახლანდელივით კი არ დაფუსფუსებდენ მაშინ აქ ყმაწვილები. მარტო ის ერთი გვივლიდა და გვანებიერებდა. ხან და ხან კიდევ ჩვენი კეთილი ბატონი შემოვიდოდა ჩვენს დასაჩედავათ, სხვა არავინ. რა მოხელე იყო ის დალოცვილი! აი, ავერ აუზს ზემოთ პირ-დაღრენილი ნიანგი რომაა, მისი გაკეთებულია. ახალი გაკეთებული რომ იყო, პირიდან ანკარა წყალი გადმოჰქუხდა. ახალ გამოღვიძებულზე, სანამ შევეჩვეოდი, შუშით გული მისქდებოდა, მეშინოდა, არ ჩამყლაპოს-თქო, ისე ძალიანა ჰგავდა ცოცხალს ნიანგს. ახლა ესეც მოშალეს ამ საძაგლმა ბავშებმა. ფუ, ამისთანა ცხოვრებას, ბალებს სათელავათ შევიქენით!..

შრ..! შრ..! შრ!.. აღეღდენ და აბუტბუტდენ ყვაეილები.—ნუ

დადიან ჩვენთან ის საძაგელი ბავშვები, ნუ დადიან! ნუ, ნუ, ნუ!!!

— არ ვიცი, რა მოხელეა ის ბავშვები. მომეღელათ განა მარტო მასწავლებელი კი არ გვეყოფა? — წამოიძახა სუპზულმა. — რა სინაზითა და აღერსით გვეპყრობოდა ჩვენი იოსებები!.. პირველათ რომ მომიახლოვდა და თავისი ღონიერი, მოჩრის სისხო ხელები გამომიშვირა, შიშით კინაღამ სული გამძვრა; ვიფიქრე, ეს არის გამსრისათქო, მაგრამ ისე ნაზათ, ისე ფრთხილათ გამისწორა ფოთლები, რომ ტანში რაღაც სიამოვნების ქრიანტელმა დამიარა. სწორეთ ხავერდის თითები აქვს იმ დალოცვილს.. მეგობრებო, ნულარ გვინდა ის საძაგელი ბავშვები, მარტო მასწავლებელმა მოგვიაროს!..

— შრ, შრ, შრიიი!.. საშინლათ აღელვდენ და დრტინეა დაიწყეს ყვავილებმა. იმათი შრიალისაგან ყურთა სმენა აღარ იყო. სუყველანი ყმაწვილების წინაღმდეგნი იყვენ. ერთი მადლიერი მათ არაეინა ჰყავდა. მხოლოთ იასამანის ქვეშ შეფარებულმა იამ მოინდომა ყმაწვილების გამოსარჩლება, მაგრამ მის ნაზსა და სუსტ ხმას, აბა ვინ გაიგონებდა. ყვავილების შრიალი თან და თან მატულობდა და ბოლოს ნამდვილ ქარიშხლათ გადაიქცა.

— დაწყნარდით, დამშვიდდით! — მოისმა ამ დროს ყვავილთა მეფის, ვარდის, მბრძანებელი ხმა.

ყვავილები უცებ ჩაჩუმდენ.

— სამართლიანია შენი საყვედური, საბრალო რეზედაე! ვინ იქნება ისეთი გულქვა, რომ ასე უდროოთ დედის მკერდიდან სამუდამოთ მოწყვეტილი გნახოს და გული სიბრალულით არ აეცსოს. მეც ძლიერ მებრალეები, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა საშინელს მწუხარებაში ჩაადგო ამ უბედურმა შემთხვევამ შენი მკვლელი. შენ მაშინ გულ-შემოყრილი იყავი და, რასაკვირველია, ვერაფერს გაიგებდი. მე კი ყველაფერს კარგათ ვხედავდი და აი, გამბობ, საქმე როგორც იყო. პატარა ლადომ, რომელსაც შენ კარგათ იცნობ, იმ დილაზე თქვენ კვალთან აღრე მოიბრძინა და ცქერა დაგიწყათ. კარგახანს თავი მალლა არ აუღია, ბეჯითათ მარგლიდა თქვენ კვალს. ბოლოს შენ მოგიახლოვდა. აბა, მოიგონე, შენ გვერდით რომ მრავალ-ძარღვა იყო. როგორ მოგწონდა იმისი მეზობლობა, ჰა? მგონია, ერთხელაც არ გამაძღარხარ ხეირიანათ; სულ ის შეჩვენებული გართმევდა საზრდოს. რა ვიცი, ხშირათ კი



გამოგონია შენგან იმაზე საჩივარი და!.. დიახ, ლადომ მრავალ-ძარღვი  
 ვა დინახა და გულ-მოსულმა წამოიძახა: „ერთი ამას შეხე, რო-  
 გორ განართხულა მიწაზე ეს საქაგელი! ტყუილათ იმალები, ისიც  
 გეყო ამდენ ხანს რომ დამემალე, ახლა კი უკაცრავათ, ვეღარ მო-  
 გართვი!“ თქვა ესა და მრავალ-ძარღვას კისერში ხელი წაავლო და  
 ამოსწია, მაგრამ კვალის ერთ კუთხესა, სადაც თქვენ იზრდებოდით,  
 რწყვა დაჰკლებოდა და ვერ ამოგლიჯა. ლადომ მას ძირთან მიწა  
 გაუჩიჩქნა და ხელახლა ამოსწია. ის კი ამოგლიჯა, მაგრამ მისმა  
 ძირმა შენც თან ამოგიტანა. ლადო მეტრს-მეტათ შეაწუხა ამ უბე-  
 ლურებამ და გაბოროტებულმა მრავალ-ძარღვა ფეხქვეშ გასრისა. ამ  
 დროს ჩვენმა კეთილმა მასწავლებელმა ჩამოიარა და ლადოს დალო-  
 ნების მიზეზი ჰკითხა. ლადომაც მასწავლებელს მიგაწოდა და უთხ-  
 რა, ჩარგვით ხომ არა ეშველებარაო? იოსებმა შენ ფესვები გაგიშინჯა  
 და თავი გააქნია: „ამას ახლა აღარათფერი ეშველება, სჯობია, ისევ  
 თაიგულში ჩაარკო და ჩვენს მზრუნველს მიართვა. ამისი შეენი-  
 ერი სუნი კეთილს მონუსეს ძლიერ ასიამოვნებს. შენ კი, ჩემო ლა-  
 დო, ვერ მოგიწონებ ამ საქციელს. ეს სულ შენი დაუდევრობის  
 ბრალია. გუშინ სალამოს რომ ხეირიანათ მოგერწყო, დღეს საქმე  
 სანანურათ არ გაგხდებოდა!“ ლადოს ძალიან შერცხვა და თვალე-  
 ბიდან ცრემლები გადმოსცვივდა. მერე შენ განზე გადაგადლო და  
 ისევ მარგვლას შეუდვა. საუბრისათვის რომ ზარი დარეკეს, ლადომ  
 ძებნა დაგიწყო, უნდოდა ყვავილების კონაში ჩაერკვე, მაგრამ შენ  
 თითქო ეშმაკი გადაგეფარაო, ბერი გეძება, მაგრამ ვერ გიპოვა და  
 დალონებული დასანაყრებლათ წავიდა. აი, როგორ იყო საქმე, ჩე-  
 მო კარგო! შენ კიდევ ჰო, რაც უნდა თქვა, მოგეტყვება, მაგრამ  
 ნეტავი ამათ რა აყაყანებთ?!

წყრომით გადახედა ვარდმა სპარსულ ხალიჩასავით ათას ფერათ-  
 აკრელებულს ყვავილებს.

— აი, თქვე უკუნურებო, თქვენა! მაღლობის მაკიერათ ესა-  
 ყვედურებით იმ თქვენ პატარა კეთილს გადივს? ერთმა ბავშვმა  
 ფეხი დამადგაო“, — ბრძანებს ნარკიზი. დილა ამბავი არ მომხდა.  
 რა!.. რა ეუყოთ, რომ დაგადგა? ეს იმან ბოროტებით ჩაიდინა  
 თუ? გვერდებიდან ამას მანე ბალახ-ბულახს უმარგლიდა და



უცაბელათ ფეხი დაადგა... გრცხენოდეს, ნარგიზო, ამ სიტყვებისათვის!

— თქვენ კიდევ რა გატრინებთ, უსუსურებო? „ყვედილები დამაგლიჯაო!..“ ოჰო, არ უყურებთ, ყვედილების დაგლეჯასაც ჯავრობენ!.. განა მე კი ცოტას მაგლეჯენ ყვედილებს, მაგრამ აბა, ერთი საყვედური თუ გავგიგონიათ ჩემგან? ჩემს ტკივილს რათ ჩავადებ, თუ კი ამით ვისმე მცირეოდენ სიამოვნებას მაინც კი ვაგრძობინებ. განა დაგავიწყდათ, რამდენი შრომა გასწიეს იმ პატარა ბავშვებმა თქვენს აღზრდაზე? ნუ თუ იმათთვის თქვენ ყვედილებაც კი აღარ გემეტებათ, რომელნიც ორ-სამ დღეზე თავზე ჩამოგაჭკნებიან და მცირეოდენი ნიავისაგან აქეთ-იქით გაიფანტებიან?!

— ბატონო იასამანო! არა უკაცრავათ... ბატონო ცრუ იასამანო! მომიტევეთ თქვენი ნამდვილი სახელის უცოდანარობა. ძლიერ მიკვირს, რათ დაურქმევიათ თქვენთვის ეს სახელი. უთუოთ საოზუნჯოთ, თორემ ნამდვილს იასამანს თქვენ იმდენათ ჰგავხართ, რამდენათაც ცა ღედამიწას. ჰო, იმას მოგახსენებდით... დიახ, ჩემო ბატონო! თუმცა მე მაშინ ძლიერ პატარა ვიყავი, მაგრამ მაინც კარგათ მახსოვს ის თქვენგან მოწონებული ძველი დრო. დიახ, კარგათ მახსოვს და, მართალი მოგახსენო, ძალიან მაკვირვებს თქვენი სიტყვები. მაგრამ ან კი რა გასაკვირველია, მოხუცებულებს ხომ მუდამ ასე სჭირთ. ისინი სულ უფარგისი წარსულის ქება-დიდებაში არიან!.. აბა, კარგა შეადარე, ბატონო იასამანო, თუ მოხუცებულობის გამო მესხიერება არა გლალატობთ, მაშინდელი წალკოტი ახლანდელს! რა იყო მაშინ აქ? აი, მოგახსენებთ: მაშინ წალკოტს ღობის პირათ ირგვლივ შემორიგებული ჰქონდა მოცხარისა, ყოლისა და კინკრიყოს ბუჩქები, რომელთ შორის მალლათ აზრდილ ანწლისა და სხვა მყრალ-მყრალა ბალახთაგან ჰაერი მოშხამული გვექონდა; აღმოსავლეთის მხრივ კუთხეებში ლამაზი კვიპაროსის ხეები იდგა, დასავლეთის მხრივ, შენს მახლობლათ, ერთს კუთხეში მოუვლელობის გამო უშნოთ გადაბარდული საწყალი ბებია ჩემი იყო და მეორეშიც — განსვენებული ტურფა ოღეანდრი... ახლა შუაგულის კვლებს სამიოდე სოის აღრაგუნი აშვენებდა, ორიოდე ნარგიზი, ყაყაჩო და... მორჩა და გათაფდა, სხვა არაფერი! ამათგან ახლა მართო მე და შენა ერთ აქ დარჩენილი, მე, რასაკვირველია, ჩემი სი-



ლამაზის გამო, შენ კი—ჩვენი მოხუცი ბატონის პატარა ცემით, რომელსაც ძალიან უყვარს შენი ღეროებისაგან გაკეთებული ჩიბუხის ტარები. ლამაზი კვიპაროსის ხეები აქედან ამოთხარეს და სკოლის დარბაზში შესვალს კიბეს აქეთ-იქით ჩაურიგეს. ქოლისა, მოცხარისა და კინკრიყოს ბუჩქებიც ათხარეს და აი, აგერ იმ მაღლობის კალთებზე დარგეს. ტურფა ოღენადრი მებაღეს ზამთარში დაუთბუნებელი დარჩენოდა, საბრალომ აქაური სიცივე ველარ აიტანა, ქლექში ჩაეარდა და უდროთ გარდაიცვალა; საწყალმა ბებია ჩემმაც მალე თქვენი ჭირი წაიღო...

მართალი მოგახსენიათ, ომლობამ ძლიერ დამაღონა. ეტიროდი და ვოხრაედი, თვალებიდან ცრემლის ნაკადული გადმოამდიოდა... ამათ დამკრთოდა სახეზე მზის სხივები და ჩემი ცრემლების შესრობას ცდილობდა; ამათ დამკენსოდა თავს ბულბული და სამო სტეენა-რაკრაკით ჩემი გულის დარღის გაქარეებას ცდილობდა... ჩემს გულს აღარათფერი არ ეკარგებოდა. ყოველ დილით გულის კანკალით ვფიქრობდი: აი, საცაა მოვლენ, მეც ამომგლეჯენ და სადმე გადამკარგამენ-მეთქი. დიან, ასეთს ტანჯვა-მწუხარებაში ვალამებდი დღეებს მე საწყალი...

გაზაფხულის ერთს დილაზე ზარის წკარუნი მომესმა და გაკვირვებულმა თვალები გაეახილე. ამის მეტათ ზარის ხმა მე არ გამეგონა. ორ წუთსაც არ გაუვლია, ჩვენს ეზოში მხრებზე ბარ-გადებულ ლურჯ პერანგა ყმაწვილები შემოაცვიფდნენ. მათ თან ჩვენი მოხუცი ბატონიც შემოყვა. იგი ყმაწვილებს რალაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ შიშისაგან ისე გაშტერებული ვიყავი, რომ არათფერი არ გამიგონია. ამ დროს მე ერთი შავერემანი ყმაწვილი მომიახლოვდა და ტოტები გადამიწია. შიშისაგან კინალამ გული წამივიდა. ქამრიდან მან რალაც ნაირი ეშმაკური მაკრატელი გამოიძრო და ზოგიერთი დაზიანებული ტოტები შემაქრა. რასაკვირველია, ძალიან მეტკინა, მაგრამ ხმის ამოდებას აბა როგორ გაეგებდავდი! მალე ჩვენი მოხუცი ბატონიც მოვიდა და, კარგათ რომ გამშინჯა, ყმაწვილს უთხრა: „ყოჩაღ, სოსო! ჩინებულათ გაგახლავს, აწი ეს ვარდის ბუჩქი კარგა გაიხარებსო.“—ამ სიტყვებმა ტკივილი უცებ დამავიწყა და გულში იმედი ჩამინერგა. ახლა როგორც ვატყობ, იმ ტოტების შექრა მართლა ძალიან მომიხდა. მას შემდეგ ყოველს წელი-

წადს მკრიან ტოტებს და ძალიან ჯანსაღათა ცა ვგრძნობ თავს. მე დარწმუნებული ვარ, საწყალი ბებია ჩემიც რომ ხან და ხან ასე გავსხლათ, დღეს კიდევ ცოცხალი იქნებოდა.

როგორც მოგახსენეთ, აქ ყველაფერი დათხარეს და ერთ კვირაზე მთლათ გადაბარეს. შემდეგ იმ „საძაგელი“ ბავშვმა აქ სხვადასხვა ნაირი ლამაზ-ლამაზი კვლები დააკეთეს და ახლა აჰა, გადახედეთ და დასტკბით ამ თვალის წარმტაც საუცხოვო სურათით!.. აბა, ერთი შეხედეთ, რა საკვირველი ხელოვნებით არის ერთმანეთში არეული ათას გვარი ყვავილები! რა საოცრათ შეხამებულ-შეწყობილია სხვადასხვა ფერები!..

— საუცხოვოა, საუცხოვოა! დაიშრიალეს ერთ ხმათ ყვავილებმა.

— ბავშვმა ნიანგის შადრევანიც მოშალეს, — განაგრძო ვარდმა. — არა, ბატონო იასამანო, ამაშიაც თქვენ მტყუანი ბრძანდებით! უწინ ის შადრევანი უფრო თვალისათვის იყო, ახლა კი იქიდან ოთხივე მხრივ გრძელი რეზინის მილებია გაყვანილი. უწინ რომ ჩვენს გარშემო გვევრანებული, ძეძვითა და ნარ-ეკალა ბუჩქებით დაფარული მინდვრები იყო, ამ მილების შემწვობით ახლა უხვათ ირწყვის და საუცხოვოთაა შემუშავებული. აბა, ერთი ყური მიუგდეთ, რა სასიამოვნო ხმები მოაქვს ნიანგს იქ გაშენებულ ბალნარენახ-ყანებიდან! იშ, რა საამუროათ ბიბინებს ზურმუხტისურათ ამწვანებული ჯეჯილი ღ რა ნაზათ ირხვეიან ბალში ძვირფასი ხეხილები!..

— შრ, შრ, შრრრ!.. შრილებდენ თანხმობის ნიშნათ ყვავილები.

— დახ, ჩემო ბატონებო, ყოველივე ეს სულ იმ „საძაგელი“ ბავშვის დაუღალავი შრომისა და მეცადინეობის ნაყოფია. ყოველივე ბუჩქი, ყოველივე ყვავილი და ხეხილი აქ მათი ნალოლიაგებია, მათი ოფლითაა გაბანილი და ჩვენ კი ნაცვლათ მადლობისა გავიძახით: „იმ საძაგელმა ბავშვმა ფეხა დამადგა, ყვავილები დამაგლიჯაო!“

რა თქმა უნდა, ყმაწვილს შეცდომაც მოუვა, ხშირათ ის გაუფრთხილებელიცაა, მაგრამ მოთმინება უნდა ვიქონიოთ. ახლა ისინი ეჩვეიან, სწავლობენ ჩვენს მოვლას და, როცა გაიზრდებიან,



ისინიც ისეთივე მუყაითი, ფრთხილი და ერთგული მომვლელები იქნებიან, როგორც იმათი მასწავლებელი იოსებია. მართლა, ტურფა სუმბული რომ წელან ისეთი ქებით იხსენიებდა მასწავლებელს, ისიც ხომ აქა გამოზრდილი. ისე ცხადათ მიდგას თვალწინ პატარა, შაგვრემანი, თმა ხუშუჭა სოსო, თითქო ამ წამში ეუყურებდე. დიან, თითონ ეს ჩვენი იოსები იყო, ის პატარა ბავში, რომელმაც მე ტოტები შემაჭრა. ერთხანს ჩვენც ძალიან გვაჯაერებდა სოსო, მაგრამ ახლა მის საყვედურს, ვგონებ, ვერც ერთი თქვენგანი ვერ იტყვის.

—მაშ მოთმინება, ბატონებო, მოთმინება! სულმოკლეობა უგუნურების ნიშანია. დაბოლოვა ვარდმა სიტყვა და ამაყათ გადაარხია თავისი კეკლუცი თავი. დარცხვენილმა ყვაეილებმა თავი ძირს დახარეს და ჩაჩუმდნ.

ამ დროს წალკოტში მაღალი ტანის, ახოვანი მოხუცი შემოვიდა და წყნარის ნაბიჯით ყვაეილებისაკენ გაემართა. დადუმებული წალკოტი მწრაფლ გამოფხაზლდა; ყვაეილება შეიჩხენ და საამოთ ფშვინვა დაიწყეს; ქალებიდან დილის ნიავმა ცეკლათ ჩამოიქროლა და ყვაეილთ ამონაფშვენი უცხო სუნნელება მომავალს უხვათ მიავება. თან თავისი ჰაეროვანი ფრთები მოხუცს შემოხვია და აღტაცებით დაუკოცნა თოვლის პანტელასავით თეთრი თმა-წვერი და მზრუნველობისაგან დაღარული მაღალი, გონიერი შუბლი. მიდის მოხუცი და მას მზიარულათ ეგებებიან და სამაჟური შრიალით სალამს აძლევენ ყვაეილები: „იკოცხლე, იკოცხლე, იკოცხლეო!“

ასონ ნიკოლაიშვიდი.



## თ ო ლ ი ა.

(გადმოღებული ფრანგულიდან.)



არც ხანი იყო რაც ჰატარა ტბა გაუინა. ხეები მის გარშემო თოვლით შეიმოსენ და ეინულის ღოღოები ტოტებსე ეკიდა. წითლათ ამომავალი მზე ნაღვლიანათ გამოიუურებოდა და მკრთალათ ანათებდა მოტვლევილ ბუნებას.

მეშეშე ჰეტრე განთიადისას გამოვიდა ქოხიდან და გასწია სამუშაოთ. ჰეტრე მსიარულათ აბიჯებდა; ქუდში ნამვის ხის ტოტი ჰქონდა გარჭობილი და ხელში ეჭირა შინლის ხის ჯოხი.

ჰეტრე მარტო არ მიდიოდა, მას მისდევდა მისი ერთთა ერთი ერთკული მეკობარი, საუვარელი თოლია.

მას აქეთ, რაც ჰეტრემ ერთ საღამოს, შემოიეგანა ხელში აეუანლი, დაკოდილი ძაღლი, რომელიც გზის ნაწინას ეპოუნა, ორივენი—ერთათ ცხოვრებდენ ჰეტრეს ღარიბ ქოხში.

— საქმე საშური მაქვს, გაიფიქრა გულში ჰეტრემ,— არ ეჯობინება რომ ჰირ და ჰირ ტბასე გაღწვიდე და გარშემო არ შემოუარო, როგორც კვლავ. ერთი საათით უფრო ადრე მივაღ.



მიდის ჰეტრე და მისდევს მას ცუნცულით თოლია. ჰეტრე მიუახლოვდა გაუინულ ტბას. ჯერ საქმე კარგათ მიდიოდა. წყალი მაგრათ გაუინულიყო, უძლებდა გამბედავ მოსიარულებს. ჰატარა ხანს შემდეგ ჰეტრემ, თითქოს, იგრძნო, რომ ფეხქვეშ ნიბდაგი ეცლება, რაღაც ფექრები მოსდის თავში; თუძცა ჰეტრე განაგრძობს გზას, შიში ეპარაბა გულში. აი, გამოჩნდა ხეები, ტბის ნაპირი, კიდევ ცოტას გაივლის და მიახწევს თავის წადილს. რა აქვს საშიში! ჰეტრე ისეთი სიფრთხილით ადგამს ფეხს, რომ შუბლზე ოფლი გამოსდის. მერე ეს ოფლი შიშისაგან ერთი ორათ ემატება, რადგან ატუობს რომ ფეხებ-ქვეშ ეინული უტედება. აი, კიდევ ესმის ჰეტრეს ეინულის ტკაცვა-ტკუცი—ერთბაშათ ეინული ჩატედა და ჰეტრე გაჭქრა უფსკრულში.

მოისმა მი ი გულ-საკლავი ევირილი! მაგრამ ვინ გაიკებდა? გარშემო არაფერ იყო! ეს-ეს არი ჰეტრე ისე მიიძალება, რომ თავიც არ გამოუჩნდება. ხსნა არსაიდან მოყლის! სიკვდილის მეტი გზა არ დარჩენია!

თავისი თოლია სომ იქა ჰეავს! ამანაც თავის ჰატრონივით ერთი საშინლათ შედმუვლა, მაგრამ რას განწუბდა! ჰკვიანი ჰირუტევი ძალე მისვდა, რომ ამითი საქმეს არა ეშველება-რა. უნდა თითონ მოიაზროს, რომ თავისი ჰკუით, როგორ გადაარჩინოს ის, ვინც ასე ძლიერ უუვარს. მერე რა საშუალებით! თოლია რამდენიმე ხანი დარბოდა ტბის ნაპირზე და უფსკრულის გარშემო. უცბათ შეამჩნია რომ ტბის ნაპირას ეინული ჩატეხილია, იქნება განგებაც, ცხენებისთვის წყალის დასაღევათ.

თოლიამ ერთ წამს რაღაც მოიხსრა, მიუღბა უკუნ-  
კრულთან და შიკ გაქრა.



თოლიას ამ დროს თითქოს ვიღაც ჩასძახოდა:

— ეოჩაღათ იუაჲ, თოლიაჲ! ეძებე, ეძებე. თუ წუალი გაუინულია, ღმერთი მოწუალება, ღრმა არ იქნება, დედამიწის ნაპირიც ახლოს უნდა იყოს, გაბედე! ვინც ერთ-გულია ეველაფერს გაბედავს.

ჰეტრეს წუალში ათასგვარი საშინელი აზრები გრეგოდენ თავში; გონება თითქმის დაჰკარგა, წუალმა ჩასძირა. მაგრამ მანც კიდევ ეომებოდა იმას, ხელებს და ფეხებს აფართხალებდა, ჰეტრე სიკუდილს ვერ ასცდებოდა, ამ დროს



ჰეტრემ თავის სახეზე უცბათ იგრძნო რბილი, გრძელი, კუდი და ჰეტრემ იმდენათ მოიკრიფა ძალა, რომ კუდს მოეჭიდა.

თოლიამაც ჰეტრეს კბილები ჩასჭიდა ტანისამოსში და რაც ძალა და ღონე ჰქონდა გაიწია ტბის ნაპირისკენ, სადაც ენული ჩატეხილი იყო და სუფთა წყლის გუბე იდგა. თოლიას ძალიან გაუჭირდა საქმე; სულს ძლიერობით იბრუნებდა. მაგრამ, როგორც კი შეიძლო წელიდან თავის ამოყოფა—ძალა მოუვიდა, ღონე მოიკრიფა და გათავდა იმით, რომ ნაპირს გამოიყვანა თავისი საუვარელი ჰატრონი. მერე თოლიამ სრულებით შემთხვევით ჰეტრე ისე მიაწვინა მიწას, როგორც საჭირო იყო გონზე მოსასვლელათ: თავი დაბლა უყო და ცოტა გვერდზე დაწვინა, ამის გამო წებლი, რაც ჩაეულა ჰეტრეს, სულ ისევ ზირიდან გადმოუვიდა.

თოლია თითონ ძალე შემრა მიწასე გორვით, გათბა კიდევ, მაგრამ არ იცოდა, როგორ გაეთბო და გონზე მოეყვანა ჰატრონი: ჰეტრეს გვერდით უტრიალებდა, უსვამდა სახეზე თბილ ენას, ალერსით თავს ადებდა სახეზე, თავის ტოტებს არტყამდა ხელებზე და თითქოს ეუბნებოდა:

— გეყოფა, ჩემო ჰატრონო, ადე, გაიღვიძე. ხომ გაიეინები, თუ ასე უძრავათ იქნები. რისთვის გავიჭირე საქმე და ამოგიყვანე წელიდან, თუ არ ადგები, არ განმძრვი!



თოლიას ალერსი იგრძნო ჰეტრემ, რომელიც აქამდინ მკვდარივით იდო. ცოტ-ცოტათ მოვიდა გონზე, გაინძრა, თვალი აახილა, უნდა ენახა სად არის! რა გადახდა თავს. აი, ტანში გააქრეოლა, ახლა კი ვეკლავფერი მოაგონდა... თავისი მვირფასი თოლია რომ არა ჰყოლოდა გვერდით, ხომ დაიდუშებოდა, სიცოცხლეს გამოესვლმებოდა. დიდი გაჭირვებით ჰეტრე იღებს მალა ჯერ ერთ მკლავს, მერე მეორეს, ისეთი შიშა, თითქოს ლოდები ჰკიდიაო. თოლია მხიარული ეფუთ ამხნეებს ჰეტრეს და თითქოს ეუბნება:

„ცოტა კიდევ! ცოტა კიდევ გამოიჩინე მხნეობა, საუვარელო ჰატრონო!

ჰეტრე გრძნობდა რომ თავის თავისთვის ძალა უნდა დაეტანებინა. სცადა ფეხზე წამოდგომა. მოაგონდა რომ სარტყელში მუდამ შენახული აქვს ბოთლით არაფი. დიდი გაჭირვებით მიიტანა ბოთლი ტუჩებთან, მოსვა ორიოდ წვეთი. თავის დღეში ასე გემრიელი არაფი არ დაელია. მთელი ტანი გაუთბო, მსეც მალა იდგა, იმანაც თავისი სხივებით გაათბო ჰეტრე. ახალგაზდა და ჯანმრთელი უმაწვილი კაცი მალე მობრუნდა.

— აბა, ჩქარა წავიდე სამუშაოთ! ამაზე უკეთეს წამალს ვერ ვიშოვი, რა გამათბობს ისე კარგათ, როგორც მუშაობა! გავეშურო.



მაგრამ სანამ წავიდოდა თავის თოლის კადუკონსა თვალები, მხურვალეთ გულში ჩაიკრა და თქვა:

— ჩემო ერთგულო მეგობარო, ჩემო მხსნელო! უშენოთ ახლა დამხვრჩვალა ვიქნებოდე. შენ მანყენე მაგალითი, როგორი მხნე და თავ-განწირული უნდა ვიყო მე. ამას თავის დღეში არ დავივიწყებ, ოღონდ კი შემთხვევა მომეცეს.

მართლა და ჰეტრემ აასრულა თავისი სიტყვა. დიდ ხანს არ გაუვლია მას ბქეთ, რაც იმან წულიდან ამოიყვანა ერთი უმაწვილი და სიკვდილს გადაარჩინა. როდესაც ულოცავდენ, ჰატრე ეველას ასე უზასუსებდა:

— ჩემ თოლისას უნდა უთსრათ მადლობა, მე იმისგან ავიღე მაგალითი.

ან. წ—სა.



როგორ ჰქრის ქარი?

(რუბაკინიდან.)



ბინც ზღვის ნაპირზე ცხოვრებს, იმან კარგათ იცის, რომ ზაფხულში დღისით გრილი ნიაფი ზღვიდან ხმელეთისაკენ ჰქრის და ღამით კი—ხმელეთიდან ზღვისაკენ.

რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ დღისით ხმელეთის ჰაერია თბილი, ღამით კი ზღვისა.

ამას გვიმტკიცებს შემდეგი გარემოება:

სადაც უფრო ცივა, იმ მხრიდან ჰაერი მიმდინარეობს იქით, სადაც უფრო თბილა.

თუ ერთ ქვეყანაში თბილი ამინდია და მეორე მახლობელ ქვეყანაში ცივი, — მაშინ ქარი ცივი ქვეყნიდან თბილისაკენ დაიწყებს ქროლას. ცხელ ქვეყნებისაკენ ყოველთვის მიმდინარეობს ჰაერი, ანუ, როგორც ამბობენ, ქარს ყოველთვის მიმართულება თბილ ქვეყნისაკენა აქვს.

ატლანტის და დიადის ოკეანებზე არის იმისთანა ქვეყნები (სივანით რამდენიმე ასი ვერსი), სადაც მთელი წელიწადი (გარდა რამდენიმე დღისა) უბერავს ქარი სულ ერთ მხარეზე და არაოდეს ის უკან აღარ ბრუნდება. ამ ქარს პასსატის ქარი ჰქვია. ზღვაში მოგზაურნი რომელთაც ატლანტის ოკეანზე უმოგზაერიათ, კარგათ იცნობენ პასსატის ქარს.

ესპანელნი, ეს ძველს დროს გამოჩენილნი ზღვაში მოგზაურნი, როცა პირველათ მოხვდნენ იმ მხარეს, სადაც პასსატის ქარი ჰქრის, ძალიან შეუშინდნენ ამ ქარს. თავის ქვეყანაში ესპანელნი მიჩვეულნი იყვენ ქარის მიმართულების ცვლას, ესპანიაში ქარი ყოველ დღე და ხან ყოველ საათშიაც იცვლის მიმართულებას. აქ კი, ოკე-



ანის ერთ ადგილს, გამუდმებით ქარი სულ ერთ მხარეზე ჰქრის. ღროს ჯერ არ იყო მოგონილი ორთქლით მავალი გემები, რომლითაც ადამიანს შეუძლიან ქარის პირდაპირაც წავიდეს — ესპანელ მოგზაურებს ძალიან შეეშინდათ ამ ქარისა: იმათ ეგონათ, სამშობლოში დაბრუნება აღარ გველირსებაო.

პასსატის ქარი ჰქრის ცხელ ქვეყნისაკენ. დედამიწაზე არის იმისთანა ქვეყნები, სადაც მზე ზაფხულში მულამ პირდაპირ თავზე დაჰყურებს ქვეყანას; ამიტომ მზე აქაურ ადგილებს ძლიერ ახურებს; ამ ქვეყნებში მთელი წელიწადი საოცრათ ცხელა; ზამთარი იქ არ იცის; ზამთრის მაგიერათ ამ ქვეყნებში მთელ კვირაობით უშხაპუნებს კოკის პირული წვიმა. პასსატის ქარი ამ ქვეყნებში არ იცის. აქ ხან სრულიათ არ ჰქრის ქარი — ჰაერი დაწყნარებულია, ხან კი საშინელი ქარიშხალი ასტყდება ხოლმე.

ამ გვართ ოკეანზე პასსატის ქარები სულ ერთ მხარეზე მიტრამ ჰქრიან, რომ იქ არის იმისთანა ქვეყანა, სადაც მულამ ერთნაირი სიცხე ტრიალებს.

ჩლილო-აფრიკაში არის უზარმაზარი უდაბნო, რომელსაც საჰარას ეძახიან. სიგრძით ის თითქმის ათი-ათასი ვერსია, სიგანით ხუთი ათასი. ეს უდაბნო-უსიცოცხლო უდაბნოა: აქ ქვიშისა და სალი კლდეების მეტს ვერას შეხვდება ადამიანი. წყალი აქ ძვირი სანახავია, — რამდენსამე ათ ვერსს, ან ას ვერსს გაივლი და ძლიავს მიადგები ქას, — იმასაც უხვირო წყლიანს. სიცხე აქ საოცარია. წვიმა თითქმის არაოდეს არ მოდის. ქვიშა და ქვა ისეთ ნაირათ ცხელდება, რომ, თუ დაჩეული არა ხარ იქ სიარულს, ფეხშიშველ ვერ გაივლი. ჰაერი ისეა აქ გახურებულია, რომ ადამიანს სუნთქვა უჭირდება. ამ ნაირი სიცხე აქ თითქმის მთელი წელიწადი გრძელდება. შესანიშნავია, რომ ყოველ მეზობელ ქვეყნიდან ქარა საჰარასაკენა ჰქრის: ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთის და დასავლეთის ქვეყნიდან სულ საჰარასაკენა ჰქრიან. საჰარა ანდამატივით იზიდავს იმ ჰაერს, რომელიც გარეშემო ქვეყნებდან მისკენ მიილტვის ასი და ათასი ვერსის მანძილიდან. ეს მოვლენა იქიდან წარმოსდგება, რომ საჰარას სიცხით არც ერთი მეზობელი ქვეყანა არ შეედრება.

თუ ჰაერი საჰარასაკენ ყოველ მხრიდან მიილტვის, მაშ ჰაერი

საპარადან საითლა მიდის? რომ არსაით მიდიოდეს, მაშინ საპარადან  
ზომ ჰაერით გაიტენებოდა?

საპარაშიაც, როგორც სხვა თბილ ქვეყანაში, ჰაერი მიწიდანა  
თბება, და რაკი ჰაერი გათბება, ის უეჭველათ ზევით აიწევს და ცი-  
საკენ წავა. ყელამ იცის, რომ თბილი ჰაერი ციეს ჰაერს ზემოდა  
მოექცევა ხოლმე. მაგალითათ, ჰერთან ჰაერი ყოველთვის უფრო  
თბილია, ვიდრე იატაკთან. ცივი ჰაერი კი ყოველთვის ქვევით იფი-  
ნება. ასე ხდება საპარაშიაც: ის ჰაერი, რომელიც მეზობელ ქვეყნე-  
ბიდან მომდინარეობს, ჯერ მიწის პირათ იფინება, მაგრამ შემდეგ  
მალე ცხელდება და მიიწევს ცისაკენ. როცა თბილ ოთახის კარებს  
აღებ, ცივი ჰაერი გარედან ოთახში ქვევიდან შემოდის, თბილი ჰა-  
ერი ზევიდან გადის გარეთ დერეფნისაკენ. ამ გვარათ კარებში ორ-  
ნაირი ქარი მოძრაობს—ერთი მეორის ზემოთ: ზევით თბილი ქარი  
ჰქრის დერეფნისაკენ, დერეფნიდან კი ქვევით ცივი ქარი ჰქრის ოთა-  
ხისაკენ.

როგორც ჰაერი ოთახიდან ოთახისაკენ მიმდინარეობს, სწორეთ  
ისე მიმდინარეობს ის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყნისაკენ: ცივი  
ჰაერი ქვევ—ქვევით, თბილი ჰაერი მაღლა-მაღლა. ჰაერის (აეროსტა-  
ტია) ბურთით მოსიარულენი ამბობენ, რომ მაღლა ცაში, სხვა-და-  
სხვა ქარი ჰქრის ერთი მეორის ზემოთ და ყველა მათგანი სხვა-და-  
სხვა მხრიდან. ხშირათ კაცი ამას შენიშნავს ღრუბლების მოძრაობი-  
თაც: ერთსა და იგივე დროს ქვედა ღრუბლევი ერთი მხრისაკენ მო-  
ძრაობენ, ზედა—მეორე მხრისაკენ. იგივე მოეღენა შენიშნულია  
ზოგიერთ მაღალ მთებზედაც. ატლანტის ზღვაზედ, სადაც პასატის  
ქარები ჰქრიან, არის კუნძული ტენერიფი, რომელზედაც აპართუ-  
ლია მაღალი მთა. ამ მთის ძირში ქარ: ჰქრის ჩრდილოეთიდან სა-  
მხრეთისაკენ, და სამი ეგრისის სიმაღლეზე—სამხრეთიდან ჩრდილო-  
ეთისაკენ; ცოტა კიდევ ზევით თბილი ქარა ჰქრის და სულ მაღლა  
კი მუდმივი ყინვა სუფევს. აქედან სჩანს, რომ, როცა თბილი ჰაერი  
ზევით ადის, ის იქ თანდათან ცუდება.

მაშასადამე ქარი ასე ჰქრის: ჰაერი მუდამ წრეს აკეთებს, იგი  
მიმდინარეობს ერთი ქვეყნიდან მეორისაკენ წალმაც და უკუღმაც;  
ამას გარდა ქარი ჰქრის დედამიწიდან, ზევით და ზევიდან ქვევით.



† გაბრიელ ეპისკოპოსი.



ამოც-და-ათი წელიწადია მას აქეთ, რაც გურიაში ერთს სოფლის ღედელს დაებადა საკვირველი ვაჟი. მონათელის ღროს მას სახელათ გარასიმე დაარქვეს. პატარაობისას გერასიმე საშინელი ცოცხალი ყმაწვილი იყო და ისეთი ნიჭი, სწავლის სიყვარული და ბეჯითობა გამოიჩინა, რომ ყველას აკვირებდა, ამიტომაც

მისმა მოკეთებმა ეს საკვირველი ყმაწვილი პატარაობითვე რუსეთში გაისტუმრეს სწავლის მისაღებათ.

პეტერბურგში პატარა გერასიმე პირველათ ძრიელ ნაღვლობდა, რომ ისე აღრე მოშორდა საყვარელ დედ-მამას, ნათესაებებსა და სამშობლო ქვეყანას. მაგრამ საყვარელი მშობლები რომ გავხარებია და თავის ქვეყნისაჲ გამოსადეგი ყოფილიყო, ბეჯითათ მოჰკიდა ხელი სწავლას.

ამხანაგები მას ყველა რუსის ყმაწვილები ჰყავდა, რომელთაც, რასაკვირველია, უფრო ვადვილებოდათ რუსულ ენაზე სწავლა, მაგრამ არა თუ არ ჩამორჩა მათ სწავლაში არამედ თითქმის ყველას სჯობნიდა. როცა საშუალო სასწავლებელი გაათავა, მალალ სასწავლებელში—აკადემიაში, გადვიდა. აქაც დიდი ნიჭი გამოიჩინა, სწავლა დაამთავრა და, ოქროს ჯვარი მიიღო ჯილდოთ.

ახალ-გაზდა ყმაწვილი კაცი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა; ძლიერ ეღირსა თავის ქვეყანაში დაბრუნება, განათლებული გერასიმე მისწრაფებოდა საყვარელ მშობლებთან, რომლებიც მას მოუთმენელათ ელოდნ.

რუსეთიდან რომ ჩამოვიდა, სემინარიის მასწავლებლათ დანიშნეს. ის საუცხოვო მასწავლებელი იყო, და მოწაფეებს ძლიერ უყვარდათ. ამ დროს გერასიმემ ცოლი შეირთო და ღვლათ ეკურთხა. მთავარ-მართებელმა ქალების ინსტიტუტის საღვთო სკოლის მასწავლებლათ დანიშნა. ქალებს ისე შეუყვარდათ და მოსწონდათ თავისი ნიჭიერი მასწავლებელი და კეთილი მოძღვარი, რომ როცა კლასში გაკეთილზე შევიდოდა, თაიგულებითა და ვარდებით ეგებებოდნ წინ. მალე დიდი უბედურება ეწვია გერასიმეს: ცოლი და ორი საყვარელი შვილი მოკლე ხანში დაეხოცნ. მაშინ მან გადასწყეცა მთელი ხალხის მამათ გამხდარიყო. ადგა და ბერათ ეკურთხა—მას გაბრიელი უწოდეს და დიდი ხანი არ გასულა, რომ იმერეთის ღვდელ-მთავრათ დანიშნეს. აი ამ დროდან იწყება ამ შესანიშნავი მწყემს-მთავრის ძოდვა-წეობა და მამობრივი ზრუნვა ჩვენი ქვეყნისათვის.



იმერეთი მაშინ სამწუხარო მდგომარეობაში იყო: ხალხში გავრცელებული იყო ცრუმორწმუნოება, ერთმანეთის მტრობა, შური, მოტყუება, პირ-ფერობა, ძალ-მოპრეობა, ქრთამი, ქვიფის-მოყვარეობა, ქურდობა და კაცის-მკვლევლობაც. ყველა ამის მიზეზი ის იყო, რომ მთელი ხალხი უმეცრებით იყო მოცული და მისი განათლებისა და ზნეობრივი აღდგენისთვის არავინ ზრუნავდა.

აი სწორეთ ამ დროს მოველინა, თითქო, განკებით იმერეთს ისეთი ნასწავლი და განათლებული ღვდელ-მთავარი, რომელმაც შესწირა მას თავისი ძალ-ღონე და სიცოცხლეც. გაბრიელ ეპისკოპოსი მხნეთ შეუდგა სიტყვით და საქმით დაცემული ხალხის აღდგენას. მას ბევრი დაბრკოლება, ბევრი წინააღმდეგობა, ბევრი ცილისწამებაც დახვდა წინ, მაგრამ მან ყველაფერს სძლია.

ყოველს კვირა-უქმე დღეს გაისმოდა მისი ძლიერი, მამობრივი სიტყვა ეკლესიაში. თვის ქადაგებაში გაბრიელი არ ზოგავდა არც თავადს, არც აზნაურს, არც ღვდელს, არც მოხელეს და არც მანდილოსანს. ყველას პირდაპირ ამხილებდა თვას ნაკლულევენებას და ურჩევდა გასწორებას. ხალხიც სულის განაბვით ყურს უგდებდა კეთილ მწყემს-მთავრის ქადაგებას. რასაც სიტყვით უქადაგებდა ხალხს გაბრიელი, იმას თვისი საკუთარი ცხოვრებითა და მოქმედებით უმტკიცებდა ხოლმე. იყო ერთგული მოყვარე სიმართლისა, სათნოებისა, მოაზინებისა, ზომიერებისა, სიბრალულისა, მფარველობისა და ყოველ გაქირვებულთა შემწეობისა.

როგორც კი დანიშნეს იმერეთის ეპისკოპოსათ, გაბრიელი შეუდგა ეკლესიების განახლებასა და გამეწინიერებას. მთელ იმერეთში ძნელათ იპოვიდით მაშინ სოფლათ ქვიტკირის ეკლესიას. ყოველგან თითქმის დაძველებული ფიცრული ეკლესიები იყო, რომლებშიც წვიმა თავისუფლათ ჩადიოდა. ეკლესიების ვალაენები და მათთან სასაფლაოები პირუტყვითა სძოვრათ იყო გადაქცეული. მისი შთაგონებითა და შემწეობით, თითქმის ყოველმა მრევლმა ააგო ქვიტკირის ეკლესია და შემოზღუდა ქვიტკირის კედლით.



მაგრამ გაბრიელ ეპისკოპოსი უფრო მეტათ ზრუნავდა ხალხისა და სამღვდლოების განათლებაზე. მუდმივ უქადაგებდა მშობლებს შვილების აღზრდის საქმიროებას და, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, ყოველგან შეელოდა ხალხს ამ საქმეში. მის დროს დაარსდა იმერეთში სასულიერო სემინარია, ქალთა საეპარქიო სასწავლებელი და მრავალი სამრევლო სკოლები. იმ სოფელში, სადაც თვითონ დაიბადა, თავის საკუთარი ხარჯით დააფუძნა სკოლა და თორმეტი ათასი მანეთი შესწირა. ამას გარდა მისი ხარჯით მრავალი ღარიბი ყმაწვილი იზღებოდა სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. ამასთანავე ყოველათ სამღვდლო გაბრიელი დიდათ თანა-უგრძნობდა და შემწეობას აძლევდა ყოველ კეთილს საქმეს.

ასე იღვწოდა გაბრიელი ჩვენი ქვეყნისთვის თითქმის 35 წელიწადი. მადლიერმა ხალხმა მოინდომა გამოეცხადებია მისთვის სიყვარული და პატივის ცემა. ქართველებმა განიზრახეს შარშან ედღესასწაულათ მისი 35 წლის დაუღალავი და სამაგალითო მოღვაწეობა. შეუდგენ კიდევ მზადებას მთელ საქართველოში: მაგრამ, სამწუხაროთ, ამ დროს იგი ავით გახდა და 25-ს იანვარს მოულოდნელათ მოგეტაცა უწყალო და ულმობელმა სიკვდილმა ჩვენი საყვარელი და ძვირფასი მწყემს-მთავარი. გაბრიელი

გ. წ—ბელი.



## საკვირველებანი ბუნებისა.

### ვიქტორია-რეჯია (Victoria-Regia)



არსული საუკუნის დამლევს მდინარე ამაზონკის ერთ ტოტში, რიო-მამორეში მიდიოდნ ნავით მეცნიერი გენკე და ერთიც ესპანელი სასულიერო პირი. მდინარის კიდეები ისე უნგათ იყო ბუნებისაგან შემკული, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებდა. ალტაცებაში მოეყენა მას აგრეთვე ეს ჩვენი მოგზაურნიც და სულ მის შეე-

ნიერებაზედა ჰქონდათ ერთმანეთში ბჭობა და ბაასი.

უცებ გენკემ შესწყვიტა ლაპარაკი და გაუშტერა თვალი ერთ რაღაც უშველებელსა და უცნაურ მცენარეს, რომელიც ნელათ ტივტივებდა ზედ წყალზე. გენკე ისე გაშრა მის პირველ დანახვაზე, რომ სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა და მუხლის თავებზე დაეშო მის წინ გაოცებული.

ეს იყო შეენიერი და მართლა უცნაური მცენარე; ეს იყო მეფე, მეფე დიდებულ მცენარეთა შორის. ეს იყო ვიქტორია-რეჯია. მისი ფოთლები ჰგავს პატარა, ლამაზი მოყვანილობის, ნავებს. წრე ფოთლის გარეშემო გამოვა თითქმის ექვსი ადლი \*). ფერი აქვს ორგვარი: ზემოდან დაჰკრავს სასიამოვნო მომწვანო ფერი, ქვეშიდან, ლამაზი მუქი წითელია. თან იმოდნათ უდ-

\*) ადლი ანუ შინ ნახევარია.

რეკია, რომ ზედ, როგორც რაიმე კუნძულზე, სხდებიან აუარებელი წყლის ფრინველები და გაუღით განუწყვეტელი ჟივილხილი.

ყვავილი მისი თეთრია, უმტვერო თოვლივით. სიდიდით მზის ბაკის ტოლა იქნება, თუ არ დიდი. ფერით თეთრია, როგორც ვთქვით, მხოლოდ პირველ ხანებში, — შემდეგ კა ვარდის ფერი ხდება და ბოლოს სრულიად წითლდება.

ამასთანავე როდესაცა ყვავის, საშინელ სიცხოველეს გამოსცემს: თუ კაცმა ხელი შეახო იმ დროს ეიქტორიას, დასწვავს და შეაკივლებს, როგორც ცეცხლის ნაკვერჩხალი.

სუნი აქვს შეწინიერი, შეუღარებელი, ნაყოფს იკეთებს რგვალს — პატარა საზამთროს ოდენას. გული ნაყოფისა სავსეა ფქვილის მაგვარი ნივთიერებით და გემრიელია.

ეიქტორია-რეკია უფრო ხშირათ სამხრეთ ამერიკის წყლებშია და მართლა განსხვავებულია ყველა სხვა ყვავილებიდან, როგორც სიდიდითა და მოყვანილობით, აგრეთვე ფერით, სუნით, ნაყოფით და ფოთლით...

კლ. აღნაშვილი.





ღორი და კრუსი.

იგავი.



ორს სიმინდი ევარა და სჭამდა. აქვე მასლობ-  
 ლათ დადიოდა კრუსი თავის წიწილებით. ერ-  
 თი სიმინდის მარცვალი მოძორებით ეგდო;  
 მივარდა მას ერთი წიწილა, ჩაჭკრა ნისკარტი და გადაულაპა.  
 ღორს ეწეინა, გამოუღვა, დაიჭირა და კბილებით გასრისა.

კრუსმა უთხრა ღორს: ამისთანა უსამართლობა გა-  
 გონილა, ერთი სიმინდის მარცვლისთვის წიწილა მოძი-  
 კალიო?“ ღორმა მიუგო: „მე ერთი სიმინდის მარცვა-  
 ლი შენს წიწილას მირჩევნიალ.“ ამ ღროს მეორე მარც-  
 ვალიც გაგორდა შორს, ამასაც მივარდა მეორე წიწილა.  
 ღორმა ამ წიწილასაც იგივე დღე დააუენა. მამინ გაბრა-  
 ხებული კრუსი მამაცურათ შეაფრინდა ღორს დინგზე,  
 ჩაჭკრა ღონივრათ ნისკარტი ჯერ ერთს თვალში, სედეე  
 მეორეში და ორივე დასთხარა. შემდეგ მოესხნა ღორს,  
 გადა გახსე და ჰიამახა: „თუ კი სიმინდის ორი მარც-  
 ვალი შენ ორს ჩემ შეიღის არჩიე, ნურც შენ გაგაკვირდება,  
 რომ ჩემი ორი შეიღი შენ ორსავე თვალებს შერჩინოსლ.“

## თავგების ჭკუა.

**ე**რთხელ ინგლისელი მღვდელი მინდვრს ჰი-  
რათ დასეირობდა. უეცრათ აუარებელ თავგების  
გროვას მოჰკრა თვალი. მღვდელი განხერდა ერთ  
ადგილას და არ იძროდა, რომ თავგები არ დაეუთხო.

თავგებმა ახლოს ჩაუარეს მას. მღვდელმა შენიშნა,  
რომ ერთ სრულიათ დაბრძავებულ თავგეს წვრილი ჩაღის  
ღერო ეჭირა ჰირში, მეორე ბოლო ამავე ჩაღისა თვალ-  
ახილულ თავგეს ჰქონდა ჰირში და ამნაირათ მიჰყავდა  
თავისი დაბრძავებული მოძმე.

\* \*

ერთხელ ინგლისში დიდი წვიმების შემდეგ მდინარეე-  
ბი ადიდდენ და ნაჰირებიდან გადმოვიდენ. მრავალი ხალ-  
ხი შეიკრიბა ერთ მდინარის ნაჰირზე საუურებლათ. ხალხ-  
მა შენიშნა, რომ მდინარის შუა ადგილს გედი მოცუ-  
რავს. მის თოვლსავით თეთრ ზურგზე რაღაც შავი ჩანდა.  
როდესაც გედი ნაჰირს მიუახლოვდა, რაღამაც ისტუნა  
მის ზურგიდან და მიწასე დასტა - ეს რეო თავკი. ალ-  
ბათ როდესაც ადიდებული წყალი იატაკებ ქვეშ შევარდა,  
სხვათა შორის, თავგებიც მოიტაცა. ერთმა მათგანმა ისარ-  
გებლა გედის სიანლოვით და შეასტა მას ზურგზე, რომ  
თავი გადაეჩინა დასწრობისაკან.

## მ რ ი ღ ა

(ფრანგულიდან)

მამროს ერთი კალათი მუხუდო მისცეს გასარჩევათ. თამრო სამუშაოს მიუჯდა, მაგრამ კალათი ისე დიდი ეჩვენა, რომ, მისი ფიქრით, თავის დღეში ვერ მოასწრებდა გარჩევას.

ამ დროს მიიღბინა მისმა ჰატარა დამ. მარომ;

— „მოგესმარები, თუ გინდაო“, იქვე დაჯდა და დაიწეეს ერთათ მუშაობა.

მათი ჰატარა თითები მარჯვეთ არჩევდენ მუხუდოს, თეფშე ჰერიდენ და მარცველებს რასხა-რუსი გაჰქონდათ. დები არჩევდენ და ერთმართს ეჯიბრებოდენ: აბა რომელი მეტს გავარჩევთო.

ძლიერ გაუკვირდათ ორივე დას, რომ კალათი ძალიან ძალე დაცარიელდა.

ასე განაწილებული შრომა ორივე დას სიამოვნებათ გადაექცა.





წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი

ხალხური ლექსები

ლონიერია კამეჩი,  
უღელსა ზიდაეს ხისასა,  
გაუჭირდება წაიღებს  
თავისასა და სხვისასა.

ძმა რომ გაეყრება ძმასა,  
ველარ დადგამს ღიღსა ძნასა,  
წაფა და ცალკე დადგება,  
გვერდზე გამოიღებს კარსა.  
ძმა მაშინ მოაგონდება,  
ხეს რომ ვერ აუწევეს თავსა.

აზნაურობა გაეუშვი,  
თოხი გამოეკარ ახოსა,  
მალ-მალ უკან გაეიხედავ  
არაეინ დამინახოსა.

აზნაურობას რა უნდა  
ერთი წითელი ბაწარი,  
შემოიჭიროს წელზედა  
სოფლათ დაიწყოს წანწალი.



## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

შესამოსითა მწარე ვარ, გულით მზეს დავედარები.  
 მიბოძეთ თასი მოგართვათ იაგუნდი და ლალები.

გულზედ ქვა, ზურგზედ ფიცარი,  
 ზედა ზის მაცურებელი.

ხუთნი არიან, ძმანი არიან.  
 ოთხი სახლს აგებს, ერთი გარს უვლის

√ (წარმოდგენილი მ. ლელაშვილისა).

მადლიან ადგილით ჩნდება, ცოდვიანი უმადური.  
 უნახავი არ დარჩება ბალ-მინდორი და სადგური;  
 მისგან გლეხი დალონდება, შეიქნება უბედური,  
 რადგანაც სულ წაუხლება ჭირნახულზე სამსახური.

## ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი კოცე გრძელისაგან).

მოსაეალს მოცდა უნდაო.

ნუ დაეიკვებთ ჩვენსა ძალსა, თუ არ შეგეწევს ღვთისა ძალი.

## სამატემატიკო გამოცანა

(წარმოდგენილი ალ. ედილაშვილისა).

ერთმა კაცმა ათ თუშნათ იყიდა ასი სული საქონელი: ათ შაუ-  
 რათ თითო ბატკანი, ხუთ მანეთათ ძროხა და ათ მანეთათ მოზვე-  
 რი, რამდენი იყო ბატკანი, რამდენი ძროხა და რამდენი მოზვერი?



✓ ა ნ ა გ რ ა მ მ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილსა).

რვა ასო არის საჭირო, ორის რამის დასაწერათ, თუ ასოებს გადაიტან-გადმოიტანთ ხელოვნურათ: პირველი არის მანქანა ედისონის მოგონილი, მეორე კი, სიტყვა არის გაზეთებში ჩაყოლილი.

შ ა რ ა დ ა

(მისივე).

ორ სიტყვათ განიყოფება რაცაა მისი სახელი, ჩვენ გვასულდგმულებს პირველი, არა ვართ მისი მნახველი. მეორეს ეუხმობთ ხელოსანს ვინცა რისაა მსახველი. თითონ ქვევრსა ჰგავს, დაჰფრინავს, კაცია მისი მმართველი.

რ ე ბ უ ს ე ბ ი

(წარმოდგენილი ყ. უორდანიასაგან).

I.



მ  
გ



ს



წ

25 მარტი

ს



კი

მნის  
შესაყრავი

ქველ ჰურს  
რა უჩნდება?




ღ

ქართული  
ბიბლიისთვის

სიმის  
ცალი

ი  
ს



ქუშის სდა  
სჭრან?




ი

ე



მ

II



ძ



№ I გამოცანების ახსნა:

დაიბეჭდება შესამე ნომერში, რადგან ვისაც გამოცნობა სურს ვადა პირველ მარტამდეა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.



# „**ჯეჯილი**“

წალიწალი მეზვილა

გამოვა 1896 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალში მონაწილეობის შილება ალგეიტქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მანტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.

კალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით ხელისმოწერა მიიღება:

1) თბილისში — წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), ქართულ სახალხო სამკითხველოში (д. зем. банка № 32) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

2) ქუთაისში — მ. ბეჟანეიშვილთან, და თ. მთაწარიშვილთან.

3) გორში — არ. კალანდაძესთან.

4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის სააგენტოში და გერ. კალანდაძესთან.

5) თელავში — მ. ცისკარაშვილის აფთიაქში.

6) საჩხერაში — შარამან ჩხეიძესთან.

7) თიორნეთში — ივ. ჩიბალაიშვილთან.

8) ყვირილაში — არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

9) მიხაილოვში — ი. ფანცულაიასთან.

ფოსტის აღრესი: *Во Тифлисе, в редакцію грузинскаго демократическаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუქახიშვილი-წერეთლისა